პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: წონპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 3—48, სტამბის ტელეფონი 1[illegible]—80.

შაბათი, 12 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 209 (1364)

დ ღ ი უ რ ი

— ვარშავაში პოლონეთის სოციალისტური პარტიის ტერორისტულმა ჯგუფმა მოკლა ორი კომუნისტი—მუშა.

— ინგლისის კონსერვატიულმა გაზეთმა „დეილი-მეილ“-მა გამოაქვეყნა ზინოვიევის ყალბი „[illegible]“.

— ინგლისის მთავრობა ახლო ხანში შეუდგება კომუნისტების დაპატიმრებას.

— 11 სექტემბერს დამთავრდა საკავშირო ავტო-გადარბენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოხსენება 1925—26 წლის ბიუჯეტის განაწილების პროექტის და საგადასახადო გამოსაღებთა გეგმის შესახებ,
2) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

6. 1703 2—1

პარტმუშაობის გაძლიერებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ამას წინედ შემდგარ პლენუმმა, არა[illegible] კომუჯრედების შემოწმების შედეგების შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნა; უჯრედების სუსტი ხელმძღვანელობა; მათი მდივნების და ქვედა საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული სისუსტე და მოუმზადებლობა; ორგანიზაციის წევრთა პოლიტიკური უცოდინარობა, რომელიც ახასიათებს მთელი ორგანიზაციის შემადგენლობის 40—50 და უფრო მეტ პროცენტსაც.

ასეთი მდგომარეობა მოითხოვს სერიოზულ დაფიქრებას და მთელ რიგ ღონისძიებათა გამომუშავებას მის აღმოსაფხვრელად.

უკანასკნელად შემოწმებულ იქნენ საბჭოთა, სამეურნეო და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედები, რომელთა წევრების საგრძნობ ნაწილს ასე თუ ისე ინტელიგენცია შეადგენს. მათ ყოველმხრივ მეტი საშუალება ჰქონდათ თვითგანვითარებას დასწაფებოდენ. ამასთან, პოლიტცოდნის შემოწმება რამოდენიმეჯერ ჩატარდა ჩვენს ორგანიზაციებში. ეტყობა, რომ ამას არ გამოუღია სავსებით დამაკმაყოფილებელი ნაყოფი, რასაც მოწმობს პოლიტუცოდინართა ის 40-50 პროც. რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

ცხადია, რომ პოლიტიკურ მომზადების მხრივ მდგომარეობა განსაკუთრებით ცუდი იქნება გლეხურ შემადგენლობის ორგანიზაციებში, სადაც დღემდე ბევრია უბრალო წერა-კითხვის უცოდინარიც კი.

პარტიულ მუშაობის სიმძიმის ცენტრი ჩვენ გადატანილი გვაქვს უჯრედებში; კერძოდ უაღრესი ყურადღება ექცევა სოფლის უჯრედების გაჯანსაღება—გამოცოცხლებას. პარტიის წევრთა პოლიტცოდნის აწევა, მაღალი კვალიფიკაცია, თვითმოქმედება და თაოსნობა, ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების სრული შეგნება მათ მიერ—არის საწინდარი პარტიის და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების სიძლიერის, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ზრდის.

შემდეგში ჩვენ უფრო უნდა გავაღრმავოთ მუშაობა პარტიის წევრთა პოლიტცოდნის და შეგნების ასამაღლებლად. ამის განხორციელება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ერთდროული კამპანიით,—საჭიროა ჩვენს საქმიანობას ამ სფეროში ჰქონდეს მუდმივი და სისტემატიური ხასიათი.

შემოდგომაზე გამოცოცხლდება ზაფხულის პერიოდში შესუსტებული პარტიული ცხოვრება ქალაქებში. შვებულებიდან დაბრუნებული ამხანაგები ახალი ენერგიით შეუდგებიან საქმეს.

სამინდვრო მუშაობის გათავების შემდეგ გამოცხოველდება სოფლის ორგანიზაციებიც. ამას ხელს შეუწყობენ ქალაქიდან სოფლად გაგზავნილი პარტმუშაკებიც. მათ ევალებათ სწორი ხელმძღვანელობა გაუწიონ უჯრედებს და ყოველი ღონე იხმარონ სოფლელ კომუნისტების გასათვითცნობიერებლად.

პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი ისევე მწვავედ დგას სოფლად. იქ ამისათვის ნაკლებად მოიპოვებიან სათანადოდ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები. გარდა ქალაქებიდან მივლინებულ მუშაკებისა, ამ მხრივ სამაზრო ცენტრებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები. აქ საკმარისი არ არის „ცირკულიარული შემოქმედება“, კანცელარული მიწერ-მოწერა. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ კავშირს, მაზრიდან პასუხისმგებელ ამხანაგების ხშირ მოგზაურობას სოფლად, პარტმუშაობის ადგილობრივად გაცნობას, რჩევა-დარიგების მიცემას შემჩნეულ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტუჯრედი უნდა წარმოადგენდეს პრაქტიკულ სკოლას, სადაც პარტწევრები უშუალოდ გაეცნობიან მიმდინარე საკითხებს, ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამოცანებს. მათი განხილვის დროს უჯრედის ყოველი წევრი უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას. ჩვენ უნდა შევეცადოთ გამოვიწვიოთ ეს აქტივობა, თვითმოქმედება, თაოსნობა. ამ გზით, კონკრეტულ მაგალითებზე, გაღრმავდება და ამაღლდება სოფლელ კომუნისტის პოლიტშეგნების დონე, იგი გაიწაფება აღმშენებლობითი მუშაობაშიც.

პარტიის წევრთა შორის პოლიტუცოდინარობის მოსასპობად კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრების და მოხსენებების გამართვას, მოკლევადიან კურსების მოწყობას. მხოლოდ შემჩნეულია, რომ მოხსენებებს და კურსებზე ლექციებს ხშირად კითხულობენ ამისათვის მოუმზადებელი პირები, რომელნიც ცდილობენ ზოგადი ფრაზებით ფონს გასვლას, ხოლო საკითხის საფუძვლიან, დასაბუთებულ გარჩევა-გაშუქებას გაურბიან. ცოდნას მოწყურებული მსმენელი დაუკმაყოფილებელი რჩება. ასეთ მოხსენებებს თუ ლექციებს უფრო ვნება მოაქვს, ვინემ სარგებლობა. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მოხსენებებისათვის სათანადოდ მომზადებულ ამხანაგების შერჩევას.

თავის თავად იგულისხმება, რომ ვერც ცენტრებიდან გაგზავნილი ამხანაგები, ვერც სამაზრო ცენტრი შესძლებს ორგანიზაციების დაყენებას სასურველი დონეზე, თუ თვით უჯრედებს ადგილობრივ მუდმივად არ ეყოლებათ მომზადებული პირები. პირველ რიგში დგას უჯრედების მდივნების საკითხი. ჩვენი პარტსკოლები უშვებენ ისეთ ამხანაგებს, რომელთა ნაწილი გამოყენებული იქნება ამ თანამდებობაზე. მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით არ კმარა. დღეს დღეობით საჭიროა სხვა ღონისძიებებიც. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კომუჯრედების მდივნების მოკლე ვადიან კურსებს, რომელიც მოკლე ხანში გაიხსნება თბილისში. კურსებზე გამოწვეულია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 60-მდე წერა-კითხვის მცოდნე მდივანი. ისინი, კურსების გავლის შემდეგ, შედარებით მომზადებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ორგანიზაციებს და მიღებულ ცოდნას მოახმარენ მათ გამოცოცხლებას. შემდეგში აუცილებელი იქნება ასეთი კურსების კიდევ გახსნა დანარჩენი მდივნებისათვის.

გარდა ამისა, მცირე მნიშვნელობა არა აქვს პარტიულ და სხვა პოპულიარულ ლიტერატურის, აგრეთვე გაზეთების და ჟურნალების გავრცელებას სოფლის პარტიულ მასსებ შორის. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

უჯრედების ხელმძღვანელობის და პარტიის წევრთა პოლიტუცოდინარობის მოსპობის საკითხი, ვიმეორებთ, მწვავედ დგას ჩვენს წინაშე. ამას ადასტურებს ც. ს. კომისიის უკანასკნელი პლენუმიც. ამ საკითხის გადასაჭრელად ეხლავე უნდა იქნეს გამომუშავებული კონკრეტიული ღონისძიებანი და გატარებული სათანადო ზომები.

თემის ბიუჯეტი

ჩვენ ხელთ გვაქვს ზოგიერთ თემის ბიუჯეტის პროექტები, საიდანაც ჩანს, თუ რამდენი გადაუდებელი სამუშაოებია შეუსრულებელი, რამდენი მტკივნეული საკითხი აქვს სოფელს, რომელთა დაუკმაყოფილებლობა დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ყველასათვის აშკარაა ჩვენი სოფლის მოუწყობლობა და ჩამორჩენილობა, ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სოფლების აღდგენისათვის იმდენი ხარჯების გაწევაა საჭირო, რომ ცხადია ჩვენ ამ თავიდანვე ერთი ხელის დაკვრით სოფლის იარებს ვერ დავამებთ, მაგრამ თემის ბიუჯეტის შედგენაში ჩვენი მუშაობა განსაკუთრებულ კალაპოტში უნდა ჩაყენდეს და მკაცრად გავმიჯნოთ ამ თავიდანვე გადაუდებელ სამუშაოების შესრულება შედარებით მეორე ხარისხოვან საჭიროებათაგან. თითეული პარაგრაფი თემის ბიუჯეტისა მრავალი შეფასების და აუცილებლობის გათვალისწინების შემდეგ უნდა იქნეს შევსებული, რათა ამ თავიდანვე გეგმა-შეწონილი მუშაობა ვაწარმოოთ.

თემის ბიუჯეტის დამტკიცებას წინ უნდა უსწრებდეს თემის და მისი მოსახლეობის ეკონომიური, კულტურული და გეოგრაფიული შესწავლა და ამის მიხედვით უნდა იქნეს გათვალისწინებული მომავალი ხარჯებიც.

აუცილებელ ხარჯების სწორეთ გათვალისწინების შემდეგ თავისთავად იმის საკითხი: რით უნდა დაიფაროს იგი? სად ვეძიოთ საჭირო თანხები? აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: პირველყოვლისა რაციონალურათ უნდა იქნეს გამოყენებული ის სამეურნეო შესაძლებლობანი, რომელნიც ამჟამად თემს აქვს. სამეურნეო წამოწყებების ექსპლოატაცია, რაოდენ მცირე არ უნდა იყოს იგი, თემის მმართველობამ მაქსიმალურათ უნდა გამოიყენოს, ვინაიდან მას, გარდა წმინდა მეურნეობითი მნიშვნელობისა, აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. მაგრამ საკუთარი მეურნეობიდან შემოსავალი იმდენად უმნიშვნელოა, რომ იმით ვერ დაიფარება უმეტეს შემთხვევაში გასავლის 15—20 პროც., ამიტომ ჩვენ უნდა მივმართოთ სხვა ღონისძიებას მოვძებნოთ ახალი წყაროები.

როგორც ვიცით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თემის ფარგლებში მოიპოვება ჩამორთმეული სახლები, ბაღ-ბოსტნები, ვენახები და სახნავ-სათიბი მიწები, რომელნიც სახელმწიფოს ხელშია, ან მაზრის გამგებლობაში იმყოფება. როგორც მეურნეობის თვალსაზრისით (ხარჯების ეკონომია, უკეთესი ყურადღება და მზრუნველობა სიახლოვის გამო და სხვა), ისე თემის მეურნეობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია აღნიშნულ მეურნეობათა თემებზე გადაცემა.

ზოგიერთი მაზრა მდიდარია საკურორტო ადგილებით, სამკურნალო წყლებით. სხვა და სხვა მადნეულობით ასეთ მაზრებში თემაღმასკომებს ზოგ შემთხვევაში არავითარი შემოსავალი არა აქვს, რაც არ შეიძლება ნორმალურათ იქნეს მიჩნეული.

ამრიგად სოფლის აღდგენის და გლეხების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკითხი თემში არსებულ საშემოსავლო წყაროების თემაღმასკომის განკარგულებაში გადაცემის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ თემში არსებულ მეურნეობის მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს (მადანი, სამკურნალო წყლები, საკურორტო ადგილები) იგი უნდა დარჩეს ისევ სახელმწიფოს გამგებლობაში, მაგრამ აუცილებლათ უნდა იქნეს თემის სასარგებლოთ გადადებული შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი, რომლის რაოდენობა განსაკუთრებული ხელშეკრულებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

შემდეგ. შემოსავლის წყაროთ უნდა მიჩნეულ იქნეს უფლებრივი სახაზინო შემოსავალი, ანუ ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან. ამ დარგში განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, ვინაიდან ცუდათ გაწერილი გადასახადი რამოდენიმე წლის განმავლობაში სრულებით გააჩანაგებს გლეხობას. საბჭოთა ხელისუფლება ამ მხრით ფხიზლად სდგას გლეხების ინტერესების სადარაჯოზე და პრაქტიკული ნაბიჯი იქნა უკანასკნელი სესიის მიერ გადადგმული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირებით. ამრიგად 25—26 საბიუჯეტო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წინა წელთან შედარებით დიდათ არის შემცირებული. ასეთი ზომა მიზანშეწონილია გლეხის მეურნეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგრამ საჭიროა კიდევ ანარიცხების გადიდებაც, ვინაიდან ამას მოითხოვს სოფლის დღევანდელი მდგომარეობა და ამასთანავე იგი გამომდინარეობს თვით გადასახადის რაოდენობის შემცირებიდან. 25 პროცენტიანი ანარიცხი სასოფლო - სამეურნეო გადასახადიდან, რომელიც, როგორც გასულ წელში, ისე მომავალ საბიუჯეტო წლისათვის არის გათვალისწინებული, უმნიშვნელო [illegible], მით უმეტეს, რომ გასაწერ გადასახადის რაოდენობა წინა წელთან შედარების დაახლოვებით 50 პროცენტით შემცირდება; ამ შემთხვევაში ფაქტიურათ 25—26 საბიუჯეტო წელში 24—25 წელთან შედარებით ანარიცხი სახელმწიფო გადასახადიდან გამოიხატება 12,5 პროცენტში, ე. ი. თემაღმასკომების სასარგებლოთ (აბსოლიუტური რაოდენობით) გადადებული იქნება გასული წლის ნახევარი. ამიტომ თემის აღდგენის მიზნით აუცილებელია ანარიცხი თემაღმასკომის სასარგებლოთ გადიდებულ იქნეს.

ამრიგად 1) თემაღმასკომების ბიუჯეტის დამტკიცებას წინ უნდა უსწრებდეს თემის ყოველმხრივი შესწავლა, მათი ჭირვარამის გაგება და ამის მიხედვით ბიუჯეტში შეტანილი უნდა იქნეს პირველ რიგში ესა თუ ის ხარჯი; 2) თემაღმასკომის საშემოსავლო წყაროების გადიდების მიზნით თემაღმასკომს უნდა გადაეცეს მთლიანათ ან ნაწილობრივ თემის ფარგლებში მდებარე სამეურნეო ორგანიზაციები ან წამოწყებები, რომელნიც აქვს აღებული სახელმწიფოს ან მაზრას თავის გამგებლობაში; 3) გადიდებულ უნდა იქნეს ანარიცხი თემაღმასკომების სასარგებლოთ სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან.

აღნიშნული ზომების მიღებით შეიქმნება ის მტკიცე ბაზა, რომელიც ესოდენ საჭიროა ჩვენი ჩამორჩენილ სოფლების აღდგენისათვის და შესაძლებლობა გვექნება როგორც საჭიროა განვახორციელოთ ლოზუნგი „პირით სოფლისაკენ“.

ვ. მ—ძე.

კუთხურ პატრიოტიზმის წინააღმდეგ

რვა წლის განმავლობაში ედავებოდა თავასის თემის ორ ჯგუფათ გაყოფილი გლეხები ერთმანეთს აღმასკომის ბინის მდებარეობის შესახებ. ერთი მხრივ იბრძოდა თავასა, მუჯირეთი და სკანდე, მეორე მხრივ თუზა, ჯგილათი და ვარდიგორა. ყველა შეთანხმდენ იმაზე, რომ ის ადგილი, სადაც დღემდი იდგა აღმასკომის შენობა, რომელშიაც სხვათა შორის, სკოლაც იყო მოთავსებული, მიუდგომელია თემის უმრავლესობისათვის. მაგრამ არ იქნა და ვერ გამოიძებნა ისეთი ახალი ადგილი, რომელიც ყველას ერთნაირად დააკმაყოფილებდა.

ამ ზაფხულზე მდგომარეობა მეტად გამწვავდა. შუღლი და მტრობა გლეხებ შორის ისე გაიზარდა, რომ, როგორც ერთმა თავასელ მასწავლებელმა განაცხადა, სოფელი ვეღარაფერს აკეთებდა, გარდა თემაღმასკომის ბინის შესახებ დაობისა. მთელი თემი შეპყრობილი იყო კუთხურ პატრიოტიზმის სიცხით. ყველას და ყოველგან, სადაც კი ორი ან სამი გლეხი შეიყრიდა თავს, მხოლოდ იმაზე ჰქონდათ ლაპარაკი.

საკითხი იმდენათ გართულდა, რომ საჭირო გახდა ცაკის საქმეში ჩარევა. გამოყოფილ იქნა ცენტრიდან საგანგებო კომისია მდგომარეობის ადგილობრივ შესასწავლად და ცენტრალურ ხელისუფლებისათვის მოსახსენებლათ.

მაგრამ „მოქმედება“ სწორეთ აქედან იწყება. თუზის ჯგუფის სოფლებმა ადრევე გაიგეს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ საკითხი ცენტრში გადაიტანა, რადგან ის არ ეთანხმებოდა შორაპნის მაზრა აღმასკომის დადგენილებას აღმასკომის თუზში გადატანის შესახებ.

და აი, თუზის მხარის გლეხობამ, ადგილობრივ უპასუხისმგებლო ინტელიგენტების ხელმძღვანელობით, გადასწყვიტეს ცაკის კომისიის ფაქტის წინაშე დაყენება. ერთ შაბათ დღეს, როცა თბილისიდან მომავალი ამხანაგები ზესტაფონსაც არ [illegible] ჩაცილებული, თავასის აღმასკომს მოადგა ას ოცდა ექვსი თემის „ქარავანი“...

კრამიტი სახურავიდან პირდაპირ ძირში მოფრინავდა. ფიცრის ერთი ნაფლეთიც კი მიწაზე არ დადებულა. ვეებერთელა ოთხთვალიანი [illegible] თვალის დახამხამებაში ურემებზე ააწყვეს და კრიმანჭულით გააფრინეს თუზისაკენ. დარჩა მხოლოდ ქვის ქვედა სართული. მაგრამ რომ ამით არ ესარგებლნათ თავასელებს, თუზელებმა ეს შენობაც მიანგრ-მოანგრიეს და ნაწილი ქვის მასალა თვითვე გაიყოლიეს.

ეს ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ აღმასკომის მილიციონერმა თავის მოფხანაც ვერ მოასწრო. მას მხოლოდ [illegible] შემთხვევით გამვლელმა უთხრა, აღმასკომმა თავი დაგიკრაო. როცა კომისია ჩავიდა დანიშნულებისამებრ, აღმასკომის ძველი მდებარეობის ადგილი შემდეგ სურათს წარმოადგენდა: ძველ ნიგვზის ძირში უთავბოლოთ ეყარა სკოლის სკამები, დაფა და სხვა სასწავლო ნივთები. შენობის ნაცვლად დანგრეული ქვის საძირკველი იყო. აღშფოთებულ თავასის გლეხობას თავი მოეყარა ნანგრევების გარშემო და ნაღვლიანათ დასცქეროდა მას. მოხუცი გლეხი გულდაწყვეტით მოუთხრობდა ცაკის წევრს ამხ. კ. ხომერიკს, რომ ბავშვები დღესაც ტირილით დაეძებენ სკოლაში დატოვებულ რვეულებს და სამელნეებს. ყველაფერი გაპარტახებული და მიფანტულ-მოფანტულია.

თუზის გლეხებს ამასობაში უკვე მოესწროთ წაღებულ შენობის კედლების ამოყვანა, რჩებოდა მხოლოდ სახურავი. კომისიის განკარგულებით [illegible] სათემო [illegible], რომელიც უნდა შემდგარიყო თემაღმასკომის ძველ მდებარეობის ადგილას, რადგან ფორმალურათ ჯერ კიდევ ეს ადგილი ითვლებოდა თემის ადმინისტრატიულ ცენტრათ.

მაგრამ თუზელებმა და მათ მომხრე სოფლის გლეხებმა აღმასკომის ახალ ბინასთან შეიყარეს თავი და იქიდან შემდეგი განცხადებით მიმართეს თემის თავმჯდომარეს: „ჩვენ ზედა-თავასა, თუზისა და ვარდიგორა ჯგილათის მცხოვრებნი მოქალაქენი შეკრებილნი ვართ თუზის შვიდწლედის და აღმასკომის ეზოში და წასვლა თემაღმასკომის ძველ ბინაზე ჩვენთვის ძლიერ სამძიმოა სიშორის გამო“.

რომ საკითხი არ გამწვავებულიყო ცაკის წარმომადგენელმა ჩაატარა კრება ერთ და მეორე ადგილასაც. გასცა განკარგულება აღმასკომის შენების შეჩერების და საქმეების კვლავ თავასაში გადატანის შესახებ, ცაკის პრეზიდიუმის ამ საკითხის შესახებ დადგენილების მიღებამდე.

ასეთია მოკლეთ თავასის ბრძოლის ისტორია აღმასკომის შენობის საკითხის ირგვლივ. დამახასიათებელი აქ ისაა, რომ არც ერთ და არც მეორე მხარეში არ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელიც ამაღლებულიყო საზოგადოებრივ ინტერესის შეგნებამდი და მიუდგომელი ხაზი დაეჭირა ამ კუთხურ შეხლა-შემოხლაში. და ეს მაშინ, როცა ერთი და მეორე კუთხეც საკმაოდ მდიდარია ინტელიგენტური ძალებით. პირიქით, როცა თუზის მასწავლებელ მაჩიტიძეს, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა თემაღმასკომის გადატანაში და ამ შუღლის გაღვივებაში, შეეკითხენ, როგორ უყურებს ის სკოლის ასეთ შეუბრალებელ აწიოკებას და სასწავლო ნივთების მინდორში გადაყრას, მან, მასწავლებელ მაჩიტაძემ დამშვიდებით უპასუხა: „სკოლა რა ჩემი საქმეა, აღმასკომმა უპატრონოს ამ ნივთებსო“.

რაც შეეხება პარტიულ ორგანიზაციას, მან აქ კიდევ მეტი უილაჯობა და სისუსტე გამოიჩინა. იმის ნაცვლად, რომ პარტიის წევრებს თავი შეეყარათ და ერთი ხაზი გაეტარებინათ სოფლის ამ საჭირ-ბოროტო საკითხის მოგვარებაში, ისინი სავსებით გაითქვიფენ მეზობლებში და ბევრი მათგანი აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდა სოფლის მიწიურ კინკლაობაში და უთანხმოებაში.

თავასის თემის მაგალითი პირველი და უკანასკნელი არაა. სოფელი სხვაის, სოფელს სული ეხუთება კუთხურ შუღ-ჩემობაში და გაწევ-გამოწევაში. იშვიათია ისეთი თემი, რომელიც კუთხურ პატრიოტიზმით არაა დავადებული.

სკოლა, სახალხო სახლი, კოოპერატივი, [illegible] პუნქტი, თემის სამმართველო, ხიდები, გზა და სხვა მრავალი, აი რის გარშემო იმართება დაუნდობელი ბრძოლა სოფლის [illegible].

კიდევ კარგი, თავასის გლეხებმა იმდენი წინდახედულება იხმარეს, რომ წინააღმდეგობა არ გაუწიეს მომხდურ თუზელებს. ვინ იცის რა საშინელება დატრიალდებოდა მაშინ იქ! თუ ეს არ მოხდა თავასაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის მსგავსი რამ არ განმეორდება სხვაგან. ისე დღე არ გაივლის, რომ რედაქციამ ოთხი ან ხუთი წერილი არ მიიღოს სოფლის მარტო ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ.

ადგილობრივ ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ კუთხურ პატრიოტიზმს. ყველაფერი მათ მოხერხებაზე და უნარზეა დამოკიდებული. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც პარტიული და სხვა ორგანიზაციები თავის სიმაღლეზე დგანან, ნაკლები ნიადაგი აქვს კუთხურ პატრიოტიზმს. თუ ეს სენი არ იქნა დაძლეული, უადგილოა სოფლის კულტურულ და ეკონომიურ აყვავების წარმატებით განვითარებაზე ლაპარაკი.

ა. ხრილისელი.

პრესა

სათემო აღმშენებლობის სკოლა

გაზ. „ბედნოტა“, საკავშირო ფინკომისარიატთან ერთად, აწყობს სრულიად საკავშირო კონკურსს საუკეთესო სათემო ბიუჯეტზე.

ქვედა საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების ამოცანა, მათი ადმინისტრატიული უფლებების გაფართოება და სათემო ბიუჯეტის შემოღება ხდიან თემის საბჭოს და აღმასკომს თავის ტერიტორიაზე ნამდვილ ბატონ-პატრონად, რომელსაც ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა სათემო აღმშენებლობისათვის.

თემაღმასკომმა აქ უნდა გამოიჩინოს ჭეშმარიტი ორგანიზატორული უნარი. მისი პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველი კი კარგად შედგენილი ბიუჯეტი უნდა იყოს.

„ბედნოტა“ მოწინავეში ზემოხსენებული სათაურით სწერს ამის გამო:

„აქ გადაბლართულია ორი მნიშვნელოვანი ამოცანა. პირველი—მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შემოსავლის ყველა არასაგადასახადო წყაროები. სამეურნეო ინტერესების მიხედვით უნდა იქნეს გამოყენებული ყველა წარმოებანი და ქონება, რომელიც გადაცემულია თემაღმასკომის გამგებლობაში.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გასავალი სათემო ბიუჯეტიდან პირველ რიგში ხმარდებოდეს სოფლის ყველაზე უფრო აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებათ. რაც შეიძლება ნაკლები ხარჯები ადმინისტრატიულ აპარატის შესანახად, რაც შეიძლება მეტი საშუალება კულტურულ-სამეურნეო საჭიროებისათვის,—აი მთავარი მცნება. რომელსაც უნდა იცავდეს თემაღმასკომი ბიუჯეტის სავალო ნაწილის განაწილების დროს“.

ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ სათემო ბიუჯეტის მნიშვნელობაზე, მაგრამ ამავე დროს თვით რუსეთში, სადაც მას უკვე ერთგვარი ისტორია აქვს, ძალიან ცოტაა კარგად შედგენილი სათემო ბიუჯეტის ნიმუშები.

„ბედნოტა“ სამართლიანად ამბობს:

„ამ ნიმუშების თავმოყრა, მათი გამოცდილების განზოგადოება, ამ გამოცდილების გავრცელება მთელ ქვეყანაზე და ჩამორჩენილ თემებისათვის გზის ჩვენება,—ყველაფერი ეს მეტად საჭიროა ეხლა, ახალი სამეურნეო წლის წინ, რომელიც სათემო ბიუჯეტების წინაშე შლის უფრო ფართო შესაძლებლობათ, ვინემ ეს დღემდე იყო“.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კონკურსს, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. კონკურსმა უნდა მოგვცეს თემბიუჯეტის გატარების სხვადასხვა ნიმუშები. კონკურსი უნდა გახდეს სათემო აღმშენებლობის ნამდვილ სკოლად.

ჩვენში მხოლოდ ეხლა შემოგვაქვს სათემო ბიუჯეტი. ამ სფეროში ჩვენ საკუთარი გამოცდილება არ გვაგვაჩნია. კონკურსის გზით დაგროვილ მასალას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ინგლისის პროფკავშირების ყრილობა

ტომსკის გამოსვლა

კონგრესმა ერთხმათ მოიწონა ინგლის-საბჭოთა კავშირების კონფერენციის მუშაობა

მემარჯვენე ბელადები დადუმდენ

სკარბორო, 10 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის სხდომაზე მომმე ორგანიზაციების სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამერიკის ორმა დელეგატმა და კანადის წარმომადგენელმა; შემდეგ ყრილობას მიესალმენ: ბროუნი—ამსტერდამის ინტერნაციონალის სახელით, ტომსკი—სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელით და ინგლისის ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციის წარმომადგენელი.

დელეგატებს დაურიგდათ გენერალურ საბჭოს ნიშნები, რის შემდეგაც პირველათ ინგლისის ტრედიუნიონების საბჭოს ისტორიაში დარბაზში გაისმა „ინტერნაციონალის“ ხმიღერა.

შემდეგ ბრამლეიმ გენერალურ საბჭოს სახელით მოხსენება გააკეთა პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის გარშემო წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. მოხსენებაში მოყვანილი იყო ინგლის-საბჭოთა კონფერენციის ყველა დოკუმენტები. ბრამლეის სიტყვა მოკლე იყო. მთავარი ადგილი მის სიტყვაში დათმობილი ჰქონდა ორატორის მიერ ხაზგასმულ 2 თეზისს: რუსეთი სოციალისტური რესპუბლიკაა, თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობებს შორის მეგობრულ დიპლომატიურ ურთიერთ-დამოკიდებულებას, არ შეგვიძლია ასეთივე პოლიტიკა არ ვაწარმოვოთ ჩვენი საკუთარი ინტერნაციონალის შიგნით.

მოხსენებას ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა და ის მიღებული იქნა უკამათოთ. ეს ნიშნავს ყრილობის მიერ ინგლის-რუსეთის სათათბირო საბჭოს იმ წინადადების მიღებას, რომელიც ეხება კონფერენციის მოწვევას. ეს ნიშნავს აგრეთვე იმ პრინციპების აღიარებას, რომ საკითხი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ საბჭოთა პროფკავშირები შეუერთდენ ამსტერდამის ინტერნაციონალს.

მკერავთა პროფკავშირის დელეგატმა ელსბერიმ და სამთომადნო მუშათა პროფკავშირის დელეგატმა დევიჩმა შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც ესალმება გენერალურ საბჭოს და მის მუშაობას პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში და მოუწოდებს მას შეუდგეს მსოფლიო მთლიანობის განხორციელებას „ტრედიუნიონების საერთაშორისო ფედერაციის შექმნის“ გზით. რეზოლიუცია მიღებული იქნა ერთხმად უკამათოთ.

ყრილობამ უეჭველად გამოხატა პროფკავშირთა წევრების იმ მასსების სულიერი განწყობილება, რომელთაც გადასწყვიტეს მთლიანობის მიღწევა. მემარჯვენეებისათვის ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა პროფკავშირთა მოძრაობის მიზნების შესახებ რეზოლიუციის მიღების შემდეგ. მათ გადასწყვიტეს, რომ საუკეთესო პოლიტიკა იქნება გამოსვლებზე უარის თქმა. ფიქრობენ, რომ მემარჯვენეების ტაქტიკა მომავალში იქნება რომ შეეცდებიან ინგლის-საბჭოთა კომიტეტის წინააღმდეგ ობსტრუქციების მოწყობას შიგნიდან.

მდგომარეობა ჩინეთში

იმპერიალისტების „დათმობითი პოლიტიკა“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 11 სექტემბერი. „პრავდა“ მოწინავე წერილში სწერს:

„ჩინეთი ისევ მდუღარე ქვაბს წარმოადგენს. უცხოეთის იმპერიალისტებმა ვერ მოახერხეს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის აზვირთებულ ტალღის შეჩერება. ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა ჩაეხშო რევოლიუციონური კანტონი, მაგრამ ასეთი ცდა ჩაიფუშა და ჯერ-ჯერობით გადაიდო. ვისი მუშტი აღმოჩნდება უფრო ძლიერი და იმედიანი: რევოლიუციის თუ რეაქციის და იმპერიალიზმის მუშტი?—აი როგორ დგას საკითხი ჩინეთში.

დღემდის სრული დარაზმულობა [illegible] მიღწეული არც ერთი მებრძოლის ბანაკში. რევოლიუციონური დუღილი გრძელდება, მასები „არ მოშმინდებიან“, რევოლიუციის ტალღები ედება ჩინეთის ხალხის ახალ-ახალ ფენებს, არ შეწყვეტილა უთანხმოება და დიპლომატიური ვაჭრობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. ინგლისმა დააპირა კანტონის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა, მაგრამ ჩქარა უკან დაიხია, რადგან შეეშინდა მარტოთ დარჩენის. იაპონია და ამერიკა კი ჯერ-ჯერობით საჭიროთ არ სთვლიან „საპასუხისმგებლო ნაბიჯის“ გადადგმას ჩინეთის წინააღმდეგ, იმპერიალიზმი იძულებულია შესცვალოს ტაქტიკა. იერიშებიდან, საზღვაო დესანტებიდან იმპერიალიზმი გადადის ეხლა მოჩვენებითი კომპრომისების ტაქტიკაზე. ინგლისის ლომმა გადასწყვიტა დროებით მელიას ქურქში გახვევა.

იმპერიალისტები იტყუებენ ჩინეთს „საკენკით“ ე. წ. „საბაჟო კონფერენციით“, რომელიც უნდა მოასწავებდეს რაღაც ახალ კურსს და „დათმობათა პოლიტიკას“.

ამ გზით განზრახულია ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის გათიშვა და შემდეგ მისი ჩაქრობა. ჩინეთის ეროვნულმა პრესამ შეიგნო უცხოელების „დათმობების“ ნამდვილი შინაარსი, და ჯერ-ჯერობით მაინც და მაინც კმაყოფილი არ არის ამით. მით უმეტეს, რომ საბაჟო კონფერენციაზე არ იქნება ჩინეთის ერთად ერთი ნამდვილი მეგობარი—საბჭოთა კავშირი. ინგლისის ოფიციალური პრესა განაგრძობს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. „დეილი ტელეგრაფი“ წინასწარ სახელს უტეხავს ჩინელ დიპლომატებს, რომლებიც გამოვლენ საბაჟო კონფერენციაზე, და აფრთხილებს ჩინეთს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისაგან.

ვანგ-ჩენ-ტინგი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

პეკინი, 10 სექტ. ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე ვანგ-ჩენ-ტინგმა ჩინელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს გაილაშქრა უცხოეთის სახელმწიფოთა 4 სექტემბრის ნოტის წინააღმდეგ.

„უცხოეთის სახელმწიფოს ნოტა, სთქვა ვანგ-ჩენ-ტინგმა, მოითხოვს, რომ ჩინეთმა დაიცვას უცხოელების სპეციალური უპირატესობანი, უცხოეთის სახელმწიფოები არა თუ ანგარიშს არ უწევენ ჩინეთის მოთხოვნილებას სპეციალურ უფლებათა მოსპობის შესახებ, პირიქით, ჩინეთს ავალებენ ამ უფლებათა დაცვას. რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩინეთი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ვალდებულებებს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი სუვერენიტეტის დარღვევა, ვაჭრობა-მრეწველობის შეფერხება და სახელმწიფოს შემოსავლის შემცირება.

ეხლა ჩინეთის ხალხი ებრძვის ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ. მთავრობა არის მხოლოდ ხალხის სურვილების გამომხატველი. თუ უცხოეთის სახელმწიფოები დაიჟინებენ ჩინეთის უთანასწორობის დატოვებას, ისინი აიძულებენ ჩინეთის ხალხს მიმართოს სასოწარკვეთილებით გამოწვეულ ზომებს.

ინგლისელები ყალბი ნიშნებით ასაღებენ თავიანთ საქონელს.

პეკინი. 10 სექტემბერი. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა ინგლისის მისიას პეკინში იმის გამო, რომ ინგლისის ზოგიერთი ფირმები ყალბი სავაჭრო ნიშნებით ასაღებენ თავიანთ საქონელს ჩინეთში.

ფინ-იუი-სიანის დივიზიების მანევრი.

პეკინი. 10 სექტემბერი. 8 სექტემბერს პეკინის მიდამოებში გაიმართა ფინ-იუი-სიანის 3 დივიზიის დათვალიერება და მანევრები. სამივე დივიზიის შემადგენლობაში შედის 60.000 კაცი. მანევრი გადაიღო შანხაის კინემატოგრაფიულმა კომპანიამ.

რეაქციონურ პრესის თავდასხმა ქარახანზე

პეკინი. 10 სექ. რეაქციონური გაზეთი „პეკინენდ ტიან-ძინ ტაიმსი“ ათავსებს წერილს, რომელშიაც თავს ესხმის საბჭოთა კავშირს და ქარახანს. გაზეთი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ „ქარახანმა დიდ შედეგებს მიაღწია პოლიტიკის მორიგ საკითხებში და არა თუ შესძლო საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, არამედ კიდეც განამტკიცა ეს ინტერესები“.

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ ქარახანმა აღადგინა რუსეთის გავლენა, რომელიც რევოლიუციის დროს ნულამდე დავიდა.

„მაგრამ—განაგრძობს გაზეთი—დიდ თამაშში ქარახანი სასტიკად მარცხდებოდა. ჩინეთმა არ აირჩია ის გზა, რომელსაც მას მოსკოვი ურჩევდა, და დაადგა ევოლიუციის, ვაშინგტონის კონფერენციის მიერ გათვალისწინებულ ხელშეკრულების თანდათანობით გადასინჯვის გზას.

გაზ. „ჩინ ბაო-“ც აგრეთვე ათავსებს ხარბინიდან მიღებულ კორესპონდენციას და თავს ესხმის ქარახანს. გაზეთის სიტყვით, ქარახანის საუბარს ჟურნალისტებთან ჰქონდა იმპერიალისტური ელფერი. გაზეთი ეხება ქარახანის განცხადებას თეთრ-გვარდიელების მოღვაწეობის შესახებ მანჯურიაში და შენიშნავს, რომ ქარახანს არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, რომ წითლები მსახურობენ კანტონის არმიაში.

პეკინის უნივერსიტეტმა დამოუკიდებლათ გამოაცხადა თავისი თავი.

პეკინი. 10 სექტემბერი. მრავალი უმაღლესი სასწავლებლები ოპოზიციაში უდგიან განათლების მინისტრს ჩჟან-ში-ჩჟაოს, რომელსაც სტუდენტები რეაქციონერად სთვლიან; ამასთან დაკავშირებით, ნაციონალურმა უნივერსიტეტმა პეკინში კავშირი გასწყვიტა განათლების სამინისტროსთან და გამოაცხადა თავისი თავი სრულიად დამოუკიდებლათ.

ამის გამო განათლების მინისტრმა შეუწყვიტა უნივერსიტეტს თანხების გაცემა.

ინგლისის პრესის ახალი სიყალბე

ლონდონი. 10 სექ. „ტაიმსი“ აქვეყნებს ვრცელ წერილს „ბოლშევიკურ შეთქმულების“ შესახებ შანხაიში და ათავსებს ნაწყვეტებს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ქარახანის „შეთხზული“ წერილიდან 7 ივლისის თარიღით. წერილი მიმართულია შანხაიში მყოფ სრულუფლებიან წარმომადგენლობის მდივნის ჩერკასოვისადმი. წერილი შეიცავს ინსტრუქციებს შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტების შედგენის შესახებ.

გარდა ამისა, „ტაიმსი“ ათავსებს ადგილებს 18 მარტის „დოკუმენტიდან“, რომელიც ვითომდა გაგზავნილია „მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტის პოლიტიკურ განყოფილებიდან. უკანასკნელი წინადადებას იძლევა მოწყობილი იქნეს უჯრედები უცხოეთის სამხედრო გემებზე შანხაიში და ნიშნავს „ამხანაგ გრიბანს“ ამერიკაში პროპაგანდის საწარმოებლად.

ჩერკასოვს არ შეეძლო ყოფნა შანხაიში 7 ივლისს, რადგან 31 მაისიდან ის მუდმივად მოსკოვში ცხოვრობდა. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ „დოკუმენტები“, რომელზედაც „ტაიმსი“ აშენებს თავის ჭორებს, წარმოადგენს იმავე დოკუმენტებს, რომელიც გამოქვეყნდა აგვისტოს დასაწყისში ჩინეთში და რომელმაც გამოიწვია მორიგი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინვე იქნა გამორკვეული მათი სიყალბე.

დემონსტრაციები უთანასწორო ხელშეკრულებების დადების 25 წლის თავზე.

პეკინი. 10 სექტემბერი. 7 სექტემბერს უთანასწორო ხელშეკრულებების დადებიდან 25 წლის თავზე ხანკოუში და უჩანში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა დაახლოვებით 150.000 კაცი.

დემონსტრაციები მიმართული იყო უმთავრესად ინგლისის წინააღმდეგ. მიღებული რეზოლიუციები მოითხოვენ ხანკოუში მომხდარ ინციდენტების (დემონსტრაციების დახვრეტის) მოგვარებას ჩინეთის მიერ წარმოდგენილ პირობების მიხედვით და მოითხოვენ სასტიკ ბოიკოტის გამოცხადებას ინგლისის საქონლისათვის.

სხვა რეზოლიუციები მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ერებს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძოლონ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

„ალგემეინე დოიჩე ცაიტუნგ"-ი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 10 სექტ. „ალგემეინე დოიჩე ცაიტუნგ"-ში დაბეჭდილია წერილი აღნიშნულ გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრისა, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება.

წერილის ავტორი ახასიათებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და ეხება იმას, თუ რა გავლენას იქონიებს ამ ორი სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში.

რედაქცია შემდეგ კომენტარიებს ურთავს ამ წერილს: „საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გერმანიის პოლიტიკისათვის. საბჭოთა კავშირის მთავრობა სცდება, თუ ფიქრობს, რომ გერმანიას საგარანტიო ხელშეკრულების დადების გზით განზრახვა აქვს ცალმხრივად გადაწყვიტოს საკითხი დასავლეთის სახელმწიფოების სასარგებლოთ. ყოველგვარ შეთანხმებას დასავლეთის სახელმწიფოებთან წინ უნდა უძღოდეს გონიერი შეთანხმება საბჭოთა კავშირთან".

რუსი შეკვეთები ინგლისში

ჩერჩილი უარყოფითად უყურებს საბჭოთა კავშირის შეკვეთებს

ლონდონი, 10 სექტ. საქმიან წრეებში აღნიშნავენ, რომ ბანკების ოპოზიცია საბჭოთა კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებების მიმართ არც ისე ძლიერი იყო, როგორც ეს წინად ეგონათ. ბანკები დიდ მერყეობას იჩენდენ. მათ მიმართეს რჩევისათვის ფინანსთა მინისტრს ჩერჩილს, რომელმაც დაადასტურა უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის შეკვეთებისადმი.

საბჭოთა კავშირი ვენის ბაზრობაზე

ვენა, 10 სექტ. თანდათან იზრდება ინტერესი საბჭოთა პავილიონისადმი საერთაშორისო ბაზრობაზე ვენაში. ყოველდღიურად პავილიონს ათვალიერებს რამოდენიმე ათასი კაცი. თითქმის მთელი საქონელი გაყიდულია. დადებულია რამოდენიმე ხელშეკრულება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დონის ანტრაციტი, ჯაგარი, ცხენის თმა, ტყავეულობის ნაკეთობები, ხე-ტყის მასალა და თევზი. დადებულია მთელი რიგი ხელშეკრულებათა სურსათ-სანოვაგის და კვერცხების მიწოდების შესახებ.

„ზინოვიევის საიდუმლო მანიფესტი"

ლონდონი, 10 სექტ. კონსერვატიული გაზეთი „დეილი მეილი" აქვეყნებს „სწორ ინსტრუქციებს", რომელიც ვითომდა გამოგზავნილია მოსკოვიდან ინგლისის კომპარტიის სახელზე არმიაში და ფლოტში კამპანიის ჩასატარებლად.

გაზეთი აცხადებს, რომ ინსტრუქციის ავტორია ზინოვიევი და რომ ეს „საიდუმლო მანიფესტი" გამოგზავნილია კომინტერნის საშუალებით. „ინსტრუქციაში" ნათქვამია: „საჭიროა მოეწყოს ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციები, რომლებმაც არმიის შიგნით უნდა აწარმოვონ ენერგიული და სისტემატიური მუშაობა აგიტაციის გასაძლიერებლათ და მზად იყონ გადამწყვეტ მომენტში სათავეში ჩაუდგენ სამხედრო აჯანყებას ბურჟუაზიის წინააღმდეგ; საჭიროა აგრეთვე აწარმოვოთ მუდმივი ბრძოლა თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების განიარაღებისა, მშრომელთა მასების შეიარაღებისა და ისეთი მთავრობის შედგენისათვის, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს მოთხოვნილებანი მმართველი კლასის სურვილების წინააღმდეგ".

კომპარტია უარყოფს ამგვარი დოკუმენტის მიღებას და აცხადებს, რომ იგი გამოგონილია, როგორც საბაბი მთავრობის მიერ რეპრესიულ ზომების მისაღებათ კომპარტიის და შესაძლოა, მუშათა სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ.

კომუნისტების დევნა ინგლისში

კომუნისტების დაპატიმრების მოლოდინში

ლონდონი, 10 სექტ. პოლიტიკურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ახლო მომავალში მთავრობა შეუდგება კომუნისტების დაპატიმრებას. ხელისუფლება უცდის მხოლოდ სკარბოროში მოწვეულ პროფკავშირთა კონგრესის დამთავრებას

ერთა ლიგის სესიის გარშემო

ოსმალეთის პრესა მოსულის საკითხის შესახებ

სტამბოლი, 10 სექტემბერი. გაზეთი „ჯუმხურიეტი" მოწინავე წერილში აცხადებს, რომ ერთა ლიგის გადაწყვეტილება ინგლისისათვის მოსულის გადაცემის შესახებ, პირდაპირ საფრთხეს განუმზადებდა ოსმალეთის რესპუბლიკისათვის საჭირო იქნებოდა თავისი არსებობის დაცვა.

გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს ინგლისის საზოგადოებრივი აზრის და პრესის განწყობილების შეცვლას მოსულის საკითხის მშვიდობიანი შეთანხმებით გადაჭრის სასარგებლოდ. მოსულის საკითხის გადაჭრა ოსმალეთის სასარგებლოდ, გაზეთის აზრით, წარმოშობს ახალ ხანას ინგლის-ოსმალეთის ურთიერთ დამოკიდებულებაში.

„იკდამი" ფიქრობს, რომ ინგლისის ცდა მიმართულია ოსმალეთის დასუსტებასა და ოსმალოების, არაბების და ქურთების დაჩაგვრისაკენ.

„ვაზეტი" ფიქრობს, რომ ინგლისის მიერ მოსულის ხელში ჩაგდება წარმოადგენს ინგლისის ლტოლვას ქურთისტანის კავკასიის და აქეთ მიმართულებით და უშუალო მეზობლობას საფრანგეთის სამფლობელოებისადმი სირიაში.

ანგორა, 10 სექტემბერი. ეხება რა ერთა ლიგის პირველი სხდომის შედეგებს, ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილლიე" გამოსთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ ინგლისი აცხადებს პრეტენზიებს ირაქზე და ხაზს უსვამს, რომ ინგლისელებს არა აქვთ ირაქზე მანდატის აღების უფლება, რადგან ირაქი იურიდიულად ეკუთვნის ოსმალეთს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგამ უნდა განიხილოს მხოლოდ მოსულის საკითხი და იძლევა გაფრთხილებას, რომ ამ საკითხის გადადება ჩაშლის მოლაპარაკებას.

ერთა ლიგა მხარს უჭერს ინგლისის მანდატს ირაქზე.

ლონდონი, 10 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის კომისარსა და ირაქის მთავრობას შორის წარმოებულ მოლაპარაკების დროს, ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინგლისის მიერ ირაქის ევაკუაციას 1928 წელში, არაოფიციალურად ეცნობა ერთა ლიგის საბჭოს გაეცნო რა პროექტს, საფრანგეთის დელეგატმა ლიგის საბჭოში და ზოგიერთმა მისმა კოლეგებმა მიზანშეუწონლად არ იცნეს ინგლისის მანდატის ასე ჩქარა გაუქმება.

ინგლისის პრეტენზიები მოსულზე

ლონდონი, 10 სექტ. „რეიტერის" სააგენტო იუწყება ჟენევიდან, რომ ინგლისის კოლონიების მინისტრმა ემერიმ რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა, რომ საკითხი ინგლისის მთავრობის იმ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც გამომდინარეობს მისი პრეტენზიებიდან მოსულზე, დაკავშირებულია მრავალ გაუგებრობასთან.

როგორც შემდეგ ემერიმ აღნიშნა, ირაქი სამოქალაქო ადმინისტრაციის მხრივ საკუთარი ძალებით კმაყოფილდება და ინგლისის ხარჯები იქ 20 მილიონი გირვ. სტერლინგიდან შემცირდა 4 მილიონამდე ამ თანხის ნახევარი სულ ერთია მაინც დაიხარჯებოდა სხვა გარემოებებზე. გადასახადის ინგლისელი გადამხდელები ახლო მომავალში, როგორც სჩანს, ზედმეტს აღარ გადაიხდიან თუ ირაქის ბუნებრივი მთლიანობა დაირღვევა და ქვეყანა იძულებული იქნება დაიცვას საზღვრები, მაშინ პრობლემა გადაუჭრელი გახდება და ინგლისის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

სოციალისტ-ფაშისტების ტერორი პოლონეთში

კომუნისტების მოკვლა

ვარშავა, 10 სექტ. 6 სექტემბერს ღამით ვარშავაში, ველის მახლობლად რევოლვერის რამოდენიმე ტყვიით მოკლული იქნა ტყავის ქარხნის მუშა ლუკასკი, რომელიც კომუნისტურ მსოფლმხედველობას იზიარებდა. ამავე დროს მეორე ქუჩაზე უცნობთა ჯგუფის მიერ მოკლული იქნა რევოლვერის ტყვიებით მეორე მეტყავე მუშა პშეხოროვსკი, ცნობილი კომუნისტი.

ორივე მოკლული პროფკავშირის წევრია. ისინი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდენ ქარხნებში პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ და განუწყვეტლივ ააშკარავებდენ მის მოღალატეობას.

გაზეთების ცნობით, ორივე მკვლელობა მოახდინა პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან არსებულმა შურისმძიებელთა ჯგუფმა. მკვლელობაში მონაწილეობისათვის შეიპყრეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი, რომელიც დაკითხვის შემდეგ განთავისუფლეს.

ორი კვირის წინ ველის მახლობლად მოკლულ იქნა [illegible], ცნობილი მუშა-კომუნისტი [illegible].

ომი მაროკოში

ესპანელების ოპერაციები

პარიზი, 10 სექტ. „ჰავასის" სააგენტო იუწყება ტანჟერიდან: „ესპანეთის ჯარებმა გადმოსხეს დესანტი სებდილში და დაიკავეს მაღლობები ალხუსამასის ნავთსადგურის ირგვლივ. ესპანელების ჯარებმა განაგრძეს შეტევა აჯდირის მიმართულებით. ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს. რიფები სუსტ წინააღმდეგობას „უწევენ".

„ჰავასის" სააგენტოს ცნობით, მადრიდიდან ალხუსემასის ნავთსადგურში დესანტის გადასხმის წინ საფრანგეთ-ესპანეთის 12 გემმა ყუმბარები დაუშინა სანაპიროებს, ამავე დროს საფრანგეთ-ესპანეთის 15 ჰაეროპლანი ყუმბარებს უშენდა რიფების ტერიტორიას. დილის 10 საათზე ჯარისკაცებით დატვირთული ნავები მიუახლოვდენ ნაპირს. ხმელეთზე გადასვლა დაიწყო დილის 12 საათზე და დამთავრდა უინციდენტოთ. მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, რიფები გაიქცნენ. ესპანელებმა ხამოიყვანეს მრავალი ტყვეები და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

საფრანგეთ-ესპანეთის ოპერაციები

ლონდონი, 10 სექტემბერი. საფრანგეთის დესანტის გადასხმა სებდილში მოწმობს იმას, რომ რიფების წინააღმდეგობამ შეუძლებელი გახადა დესანტის გადასხმა ალხუსემასის ნავთსადგურთან, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებს და ესპანელებს საგრძნობი ძალები ჰყავდათ ამ რაიონში.

ლონდონი, 10 სექტ. „ტაიმს"-ის ტანჟერელი კორესპოდენტი სწერს, რომ ფრანგები ვერ ბედავენ შეტევას რიფების ზონას იქით. ამავე დროს კორესპოდენტი იტყობინება, რომ მდგომარეობა ტეტუანის რაიონში სერიოზულია: ესპანელების ორი ბლოკჰაუზი, რომელსაც ალყა შემოარტყეს რიფებმა, ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული, ვინაიდან ესპანელების რეზერვები უნდებიან ოპერაციებს ალხუსემასის მახლობლად.

წითელ ტელეგრამები

რუსეთი

პენსიები 1905 წლის რევოლუციის აქტიურ მონაწილეთ.

მოსკოვი, 10 სექტემბერი. რ. ს. ფ. ს. რ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამუშავებს კანონპროექტს 1905 წ. რევოლუციაში აქტიურ მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ; პენსია მიეცემათ შრომის უნარდაკარგულ რევოლუციონერებს.

ტყეების გადაცემა გლეხებისათვის.

მოსკოვი, 10 სექტემბერი. რ. ს. ფ. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა განკარგულება გლეხებისათვის ტყეების გადაცემის დაჩქარების შესახებ; გადაცემა უნდა დამთავრდეს 1926 წ. 1 იანვრისათვის.

საკავშირო ავტო-გადარბენა.

კურსკი, 10 სექტემბერი. 9 სექტემბერს ჩამოვიდენ პირველი მანქანები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ საკავშირო საავტომობილო გადარბენაში. იმავე დღეს მანქანები გავიდენ მოსკოვისაკენ.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია მოსკოვში.

მოსკოვი, 10 სექტემბერი. 9 სექტემბერს მუშათა პარტიის საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატი. ინგლისის სტუმრები დიდის ინტერესით ეცნობოდენ საკავშირო საფეიქრო მრეწველობის მდგომარეობას.

სამეცნიერო აკადემიის 200 წლის თავი

საზღვარგარეთელი მეცნიერები ზინოვიევთან

ლენინგრადი, 11 სექტემბერი. უცხოეთის ეკონომისტებმა კეინსმა და ბალლოდმა ინახულეს სმოლნში ზინოვიევი.

ზინოვიევის კაბინეტში გაიმართა გაცხოველებული საუბარი საზღვარგარეთელ მეცნიერებსა, ზინოვიევსა, ევდოკიმოვსა და ზალუცკის შორის. საუბარში, რომელიც 2 საათამდე გაგრძელდა, შეეხენ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის და ეკონომიკის საკითხებს.

გამოსათხოვარი ბანკეტი

ლენინგრადი, 11 სექტემბერი. 10 სექტემბერს რუსეთის მუზეუმის მარმარილოს დარბაზში ლენინგრადის საბჭომ გამართა გამოსათხოვარი ბანკეტი სამეცნიერო აკადემიის სტუმრების პატივსაცემად, რომლებიც მოსკოვში მიემგზავრებიან.

აკადემიკოსმა კარპინსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა ის დახმარება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოუჩინა აკადემიას მძიმე დღეებში.

სიტყვები წარმოსთქვეს ლუნაჩარსკიმ, ესტონეთის ელჩმა ბირკმა, ინგლისის წარმომადგენელმა ბესტონმა, გერმანელმა მწერალმა ლიუდვიგმა და ინდოეთის პროფესორმა რაბანმა.

10 სექტემბერს ღამით ორი მატარებლით საბჭ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის საიუბილეო ზეიმზე დასასწრებლათ მოსკოვში მიემგზავრებიან აკადემიის მთელი პრეზიდიუმი, აკადემიკოსების და პროფესორების უმრავლესობა და ბევრი სტუმრები. სულ მოსკოვში მიემგზავრება დაახლოვებით 450 კაცი.

უცხოეთის მასწავლებელთა დელეგაცია

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. უცხოეთის მასწავლებელთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა, ჩამოვიდა ლენინგრადში. განათლების მუშაკთა სახლში გაიმართა დელეგაციის გამოსათხოვარი სხდომა განათლების მუშაკთა კავშირის საგუბერნიო განყოფილების პრეზიდიუმთან ერთად. დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილემ სოციალ-დემოკრატმა შმიდტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც შეიმუშავეს დელეგაციის ყველა ჯგუფებმა ერთად.

დეკლარაციაში აღნიშნულია: ყველგან საბჭოთა კავშირში შემჩნეულია ეკონომიურ და კულტურულ ძალთა აღორძინება; სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც ხმარდება განათლების საქმეს, ბევრათ აღემატება ასეთს დასავლეთ ევროპაში. დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს ქვეყანას, სადაც რევოლუციამ საფუძვლიანად გაანოყიერა ნიადაგი.

„ჩვენ დავინახეთ—ნათქვამია დეკლარაციაში,—რომ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ანთავისუფლებს და რაზმავს ყველა კულტურულ ძალებს".

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია

მოსკოვი, 11 სექტ. ინგლისის საპარლამენტო დელეგაციამ ინახულა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე პიატაკოვი, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის მოადგილე ლიტვინოვი და სამთომადნო მრეწველობის უფროსი დირექტორი ჩუბაროვი.

დელეგაციის წევრებმა განუცხადეს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს, რომ მათ შეკრიბეს მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რომელიც მათ დიდ სარგებლობას მოუტანს.

„იმედი გვაქვს—სთქვეს დელეგატებმა,—რომ ამას შედეგად მოჰყვება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესება და ინგლის-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთდამოკიდებულების განმტკიცება.

1905 წლის რევოლუციის 20 წლის თავის დღესასწაულისათვის

მოსკოვი, 11 სექტ. 1904 წლის რევოლუციის 20 წლის თავის დღესასწაულის მომწყობმა კომისიამ შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმად დღესასწაულის წინ პრესაში უნდა დაიწყოს ფართო მოსამზადებელი კამპანია.

კერძოთ პრესაში უნდა იქნეს გაშუქებული შემდეგი საკითხები: ლენინი და მისი მოღვაწეობა „ნაროდნიჩესტვოსა" და ეკონომიზმთან; დამოკიდებულება ბურჟუაზიასთან, გლეხობასთან, შეიარაღებულ აჯანყებასთან და დროებით მთავრობასთან; ბოლშევიკების და მენშევიკების ბრძოლა 1905 წელში; ბოლშევიკების რეზოლუცია პარტიის მესამე ყრილობაზე; საბჭოები, მათი წარმოშობის ისტორია და მათი როლი 1905 წელს; არმია და ფლოტი 1905 წელს, მათი როლი რევოლუციაში; ეროვნული საკითხი 1905 წელს, აგრარული საკითხი 1905 წლის რევოლუციაში, ამ საკითხის გადაჭრა ბურჟუაზიის, ესერების და მენშევიკების მიერ და ბოლშევიკების პოზიცია; 1905 წლის შეფასება პლეხანოვის და ლენინის მიერ.

ცაკის კომისიამ გადასწყვიტა საზეიმო სხდომები ჩატარებული იქნეს დღესასწაულის წინადღით. კომისიის აზრით, სხდომები უნდა ჩატარდეს განსაკუთრებული ზეიმით და მათ უნდა ჰქონდეთ მასიური ხასიათი; სხდომებზე მოწვეული უნდა იქნენ მუშათა ორგანიზაციების და სოფლების წარმომადგენლები.

ცაკის კომისია ფიქრობს აგრეთვე, რომ დემონსტრაციები უნდა ჩატარდეს წინასწარი მომზადების შემდეგ. ამ დღისათვის უნდა გადაიდოს ძეგლების გახსნა და საზეიმო დღესასწაულები ამ თუ იმ ადგილას მომხდარ ამბების გამო; ამასთანავე დემონსტრაციების ჩატარების დროს უნდა იმართებოდეს მფრინავი მიტინგები.

საკავშირო ავტო-გადარბენის დასრულება

მოსკოვი, 11 სექტემბერი. დასრულდა სრულიად საკავშირო ავტო-გადარბენა. 83 მანქანიდან, რომელიც 18 აგვისტოს გავიდნენ ლენინგრადიდან თბილისში, მოსკოვში ფინიშთან დაბრუნდა 74 მანქანა. [illegible] გამოვიდენ რიგიდან. მანქანებმა გაიარეს 5.000 კილომეტრი. [illegible]

პურის მიწოდება ა.-კავკასიისათვის

მოსკოვი, 10 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ ამიერ-კავკასიაში პურის პროდუქტების საერთო მოსავალი განისაზღვრება 80 მილიონი ფუთით; მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი საჭიროა 92,6 მილიონი ფუთი. რადგანაც საქართველოდან განზრახულია 1 მილიონი ფუთი სიმინდის გატანა უცხოეთში, ამიტომ პურის დეფიციტი განისაზღვრება 13,6 მილიონი ფუთით. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ სცნო, რომ აღნიშნული დეფიციტი დაფარული უნდა იქნეს შემდეგნაირად: 10,5 მილიონ ფუთ პურს შემოიტანენ ამიერ-კავკასიაში პურის ძირითადი დამმზადებლები; 1,5 მილ. ფუთს ამზადებენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები; 1,5 მილ. ფუთი შემოტანილი იქნება კერძო პირების მიერ. წისქვილების წარმოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით გადაწყვეტილია დაევალოს პურის ძირითად დამმზადებლებს შემოიტანონ ამიერ-კავკასიაში არა ნაკლები 3,2 მილიონი ფუთი ხორბალი ამიერ-კავკასიის წისქვილებში დასაფქვავათ.

მეორე სახელმწიფო მომგებიანი სესხის მე-4 ტირაჟი

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდენ სატირაჟო კომისიის წევრები, რომლებიც გამოგზავნილი არიან საბჭოთა კავშირის ფინსახკომის მიერ; მათ თან ჩამოჰყვა სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გუშინვე დაიწყო მუშაობა ტირაჟის მოსამზადებლათ. მოსკოვიდან ჩამოტანილი ელექტრო-აპარატები დადგმული იქნება სახელმწიფო ოპერის სცენაზე; ეს უკანასკნელი გადაქცეული იქნება სატირაჟო კომისიის სხდომების დარბაზათ. სხდომები საჯარო იქნება, ე. ი. ტირაჟის მსვლელობის განმავლობაში თეატრში თავისუფლად შეუძლია შესვლა ყველას, ვისაც სურს დაესწროს სახელმწიფო მომგებიანი სესხის გათამაშებას.

ამავე დროს თეატრის ფოიეში მოწყობილი იქნება ფინსახკომის გამოფენა, რომლის ექსპონატების უმრავლესობა ჩამოტანილია მოსკოვიდან. ექსპონატებს შორის საინტერესოა ორი ფულის ნიშანი, რომლებიც მეფის დროინდელ სესხების ტირაჟის და საბჭოთა ტირაჟების მინიატიურული გამოხატულებაა.

მოსალოდნელია, რომ ტირაჟს დიდძალი ხალხი დაესწრება, ამიტომ სახელმწიფო ოპერის აივანზე დადგმული იქნება ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატი, რომლის საშუალებით თეატრის გარეთ მდგომი ხალხი მოისმენს მოხსენებებს სახელმწიფო სესხის საკითხებზე, და აგრეთვე გაეცნობა მომგებიან ბილეთების ნომრებს.

ფოთის ჭაობების ამოსაშრობად

რიონის ნაპირად მდებარე დაბლობის, რომელიც გაჭიმულია მდ. სუფსის (სამხრეთიდან) და მდ. ენგურს შორის, დაფარულია თითქმის მთლიანად ჭაობებით, რომელთა დასაშრობათ მუშაობა დაიწყო 1923—24 წელს. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ქ. ფოთის გარშემო მდებარე ჭაობებში, რომელნიც მოთავსებულნი არიან მდ. რიონსა და მდ. ხოფს შორის. სივრცე ამ ჭაობიან რაიონისა უდრის 6.000 კვ. დესეტინას. შლამის და სილის სისტემატიური დალექვის გამო ამ ორი მდინარის კალაპოტი ამ რაიონში ამაღლებულა და ამიტომ წყალდიდობის დროს კალაპოტიდან გადმოსული წყალით იფარება მთელი ეს მიდამოები. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად ამ მდინარეების ნაპირები 5 ვერსის მანძილზე გამაგრებული იქნება ჯებირებით, ხოლო არსებული ჭაობების ამოსაშრობად გაყვანილ იქნება 25 ვერსიანი არხი პატარა გვერდის საარხე შტოებით. წვრილი ტყე, რომელიც ამ ჭაობებში იზრდება, გაიჩეხება.

11 სექტემბრის ტრა[illegible] წლის თავზე

(თბილისის აღმასკომის პლენუმის საზეიმო სხდომა)

ქალაქის საბჭოს დარბაზი, რომელიც ამ ოცი წლის წინად თბილისის მუშა ხალხის სისხლით შეიღება, მორთულია სადღესასწაულოდ. ყვავილები და მწვანეულობა ამშვენებს კედლებს, სვეტებს და აივნის მოაჯირებს. დღესაც ეს დარბაზი გაჭედილია თბილისელი მუშებით, რომელთა შორის არიან მოწმენი იმ სისხლიანი დღის, მოწმენი მტარვალების დაუნდობელი რისხვის, თანადამხვდური მტრის გაბოროტებული იერიშების.

20 წლის წინად ამ დარბაზში პირველად შეიკრიბნენ თბილისის მუშა-მშრომელნი თავისუფალი სიტყვის სათქმელად და მოსასმენად. დღეს არა პირველად და არა უკანასკნელად იკრიბებიან იმავე დარბაზში, მაგრამ აქ ყოფნის, ამ თათბირის უფლება მათ მოიპოვეს მრავალი მსხვერპლით, დაუზოგველი ბრძოლით. რომლის დაწყების თარიღი არის დაუვიწყარი დღე—11 სექტემბერი.

საღამოს 7 საათზე ამხ. ვ. მესხის თავმჯდომარეობით იხსნება თბილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საზეიმო სხდომა დაღუპულ გმირთა და თვით ამ დღის უკვდავების აღსანიშნავად.

სხდომის გახსნისას გაისმის მუსიკის სამგლოვიარო ჰანგები და ფეხზე წამოდგომით დარბაზი იგონებს მათ, ვისაც წილად ხვდა პირველად ბრძოლის დროშის სისხლით შეღება.

იწყება მოგონებების მოსმენა. მთელი თავისი სიდიადით სდგება მსმენელთა წინაშე თავგანწირული ბრძოლის სურათები.

პირველად გამოდის **სანდრო ფარწიევი**. იგი მოუთხრობს კრებას დიდი რევოლუციონური მოძრაობის დაწყების ამბავს, აცნობს მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა გონების სულიერ განწყობილებას, ჰყვება 11 სექტემბრის სისხლიან ტრაგედიის და შემდეგ ჩერდება იმაზე, თუ როგორ შეაფასეს თვითმპყრობელობის ეს თავდასხმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა.

მოგონებებით გამოდიან აგრეთვე ამ [illegible]

— ყველა ორატორები გატაცებით ჰყვებიან ბრძოლის ეპიზოდებს. დამსწრენიც სულგანაბულნი უსმენენ ორატორების მოგონებებს.

მოგონებელთა სიტყვასა და კილოში გამოსჭვივის ერთგვარი სიამაყე მით, რომ ისინი არიან მოწმენი და თანადამხდური იმ დიდი ისტორიული ამბისა.

სხდომის დასასრულს სიტყვას ამბობს **ვ. გელეიშვილი**, რომელიც სხდომას მოაგონებს ორ უჩინარს პიროვნებას, რომელნიც ამ გახსენებით არც ორატორებს და არც პრესაში ყოფილან მოხსენებულნი.

ესენი არიან **ზაკრტრეგერი**—ახალგაზრდა ექიმი ქალი და ოლგა ლიუბტოვიჩი—ერთ დროს ცნობილი რევოლუციონერი—ნაკატორღალი.

პირველი მათგანი ზაკრტრეგერი—აქტიური სოციალ-დემოკრატი, ამ ტრაგედიის ჟამს ყოფილა კრებაზე. საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს იგი არ შემკრთალა და ხელი მიუყვია დაჭრილთა მოვლა პატრონობისათვის. დაჭრილთა ჭრილობების შესახვევად მას თავის ტანზე შემოუხევია ტანსაცმლის ზედა ნაწილი. ამ თავგანწირულ მუშაობისათვის იგიც გამხდარა მსხვერპლი ყაზახთა ტყვიის.

მეორეს—**ოლგა ლიუბტოვიჩს**,—რომელსაც ბინა ჰქონია იქვე ქალაქის საბჭოს მახლობლად, გაუხსნია თავისი ბინა და ტყვიის საშინელ წვიმების დროს თავშესაფარი მიუცია ყაზახებით გარემორტყმული მრავალი მუშისათვის. ამ ორი პიროვნების ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი დარჩა თბილისის მუშების მოგონებაში.

ვ. გელეიშვილის შემდეგ პატარა მგრძნობიარე მოსაგონარ სიტყვას ამბობს ტრაგიკულად დაღუპულ ზაკრტრეგერის მეუღლე.

დასასრულ აღმასკომმა დაადგინა უწოდოს ამ ტრაგედიის დარბაზს 11 სექტემბერს დაღუპულთა სახელობის დარბაზი.

ნ.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მე-5-ე პლენუმის შედეგები

პარტიული შემოწმება საქართველოში.

პარტიული შემოწმება ცალკე სამაზრო ორგანიზაციებში დამთავრებული იქნება პარტიული ყრილობის მოწვევამდე. პლენუმმა პარტკოლეგიის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაუტანლობის და ლოთობის აღმოფხვრას და აგრეთვე პარტიული სასჯელის გაძლიერების აუცილებლობას.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ზომები იმ უჯრედთა შესამოწმებლათ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული წარმოებასთან და შეიტანა ეს ზომები ცენტრალური საკონტროლო კომისიის მორიგ გეგმაში, რათა გეგმაშეწონილი და ხანგრძლივი მუშაობით შესწავლილ იქნეს გამომჟღავნებული დეფექტები და მავნე მოვლენები. რადგან ბევრ ამხანაგს, საპატიო მიზეზების გამო, ჯერ კიდევ არ გაუვლია პარტიული შემოწმება, დადგენილ იქნა გაგრძელდეს ცალკე შემოწმება 15 სექტემბრამდე.

ამასთან ერთად პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი აქვს უჯრედების ხელმძღვანელობის ერთგვარ სისუსტეს, ვერ არიან საკმარისად მომზადებული უჯრედთა მდივნები და აგრეთვე დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელები, უჯრედებში პოლიტიკურ უცოდინართა რიცხვი დიდია, ზოგიერთ შემთხვევაში ის აღწევს 40—50 პროცენტამდე, პარტიის ცალკე წევრებს არ ესმით პარტიული ხაზი სპეცების საკითხში (ამ.-კავკ. ფინსახკომში და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მომხდარი შემთხვევანი), ხშირია გაუტანლობა და ლოთობა.

პარტკოლეგიას დაევალა პარტიულ კომიტეტებთან ერთად შეუდგეს ახლო მომავალში შემოწმების შედეგების და მასალების შესწავლას. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ ღონისძიებათა გამომუშავებას, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იქნება ზემოჩამოთვლილ მოვლენების აღმოფხვრა პარტიულ ორგანიზაციებში.

ბრძოლა ბოროტმოქმედებ[illegible]ათა წინააღმდეგ.

ცენტრალური საკონტ[illegible]ლო კომისიის პლენუმმა აღ[illegible]შნა აგრეთვე მუშათა და გლეხთ[illegible] ინსპექციის და ცენტრალური ს[illegible]კონტროლო კომისიის წარმატ[illegible]ითი მუშაობა, მათი ავტორიტეტ[illegible]ს ზრდა და სხვა.

„ისინი სისტემატიურ ბრძოლას აწარმო[illegible]ბდენ სახელმწიფო, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებში ყ[illegible]ლგვარ ბოროტმოქმედებათა და [illegible]თადარიგობის წინააღმდეგ, როგორიც არის გულგრილობა სამსახურისადმი, ფულის გაფლანგვა, ბიუროკრატიზმი, უფლების გადამეტება და სხვ., რომელთაც ადგილი ჰქონდათ სახელმწიფო მაზუთის ტრესტში, [illegible] მომშენებელ ქარხანაში, სახალხო ბანკის ბათომის განყოფილებაში და სხვ.. ამ ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი ავტორიტეტი მოუპოვა პარტიულ და უპარტიო მშრომელ მასებში მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას."

პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე პროკურატურის მუშაობის ერთგვარი სისუსტე აღნიშნულ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის საქმეში. პლენუმმა საჭიროდ სცნო პროკურატურის გაძლიერება, რისთვისაც ახლო მომავალში უნდა მოხდეს იუსტიციის ორგანოების სპეციალური გამოკვლევა.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გაფართოების, სირთულის და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციების რიცხვობრივად გადიდების გამო, პლენუმმა დაადგინა ყველა მსხვილ სამაზრო ცენტრებში დაარსდეს რწმუნებულთა ინსტიტუტი, რისთვისაც დაევალა პრეზიდიუმს სასწრაფოდ დაამუშაოს ეს საკითხი და წარუდგინოს დასამტკიცებლად უმაღლეს პარტიულ ორგანოებს.

საბჭოთა და პარტიული აღმშენებლობა.

ამას გარდა პლენუმმა განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება როგორც საბჭოთა აღმშენებლობას, ისე პარტიულ მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულებმა აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში გააკეთეს პლენუმზე საინფორმაციო მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებების გამო პლენუმმა აღნიშნა, რომ არ [illegible] საკმაო სამაზრო რწმუნებულთა ენერგიული მონაწილეობა მტ[illegible]ვნეულ მოვლენათა აღმოფხვრის საქმეში, ამისათვის საჭიროა კი[illegible] უფრო მეტი კავშირის და[illegible]რა რწმუნებულებთან ადგილებზე, რათა სათანადო სიმაღლეზე იქნ[illegible] დაყენებული პარტიის და საბჭოთა ორგანიზაციების ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამომჟღავნების საქმე.

გაეცნო რა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას გასული წლის განმავლობაში, პლენუმმა საკმაოდ ნაყოფიერად სცნო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.

რადგან სახელმწიფო და სამეურნეო აღმშენებლობაში წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია მუშათა მასების ჩაბმა ამ აღმშენებლობაში, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ საჭიროდ სცნო კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან, საწარმოო თათბირებთან, ეკონომიურ კომისიებთან და სხვ., რათა ისინიც ჩაბმულ იქნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში.

უპარტიომაც უნდა სწეროს კომუჯრედის მუშაობაზე

შეუძლია თუ არა უპარტიოს სწეროს პარტიული უჯრედის მუშაობის შესახებ? აი ეს საკითხი დღეს ერთი მტკივნეული საკითხთაგანია, რომლის შესახებ უნდა ვიქონიოთ სწორი და გარკვეული შეხედულება.

მაგრამ სანამ ამ საკითხზე გავსცემდეთ პასუხს, აუცილებლად საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ იმაზე, თუ როგორ მსჯელობენ, ან და რას ფიქრობენ ამის შესახებ ზოგიერთი როგორც უპარტიო, ისე პარტიული ამხანაგები.

ჩვენ ხშირად გვსმენია მუშკორების, გლეხკორების და უპარტიო აქტივისტებისაგან, რომ მათ კომპეტენციაში არ შედის სწერონ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან წმინდა პარტიულ მუშაობას და ცხოვრებას.

— პარტიული მუშაობის საკითხებზე მხოლოდ იმათ აქვთ უფლება სწერონ, რომლებიც უშუალოდ ჩაბმული არიან ამ მუშაობაში და დარაზმული პარტიის რიგებშიო—აცხადებენ ეს ამხანაგები.

სამწუხაროთ, ზოგიერთი ჩვენი პარტამხანაგებიც სავსებით ადასტურებენ ამ აზრს. მათ ვერ წარმოუდგენიათ, ვერ შერიგებიან იმას, თუ როგორ შეუძლია უპარტიომ რაიმე დასწეროს პარტიული მუშაობის საკითხების შესახებ.

— პარტმუშაობა პარტიულების საქმეაო—აი ამ ამხანაგების საბუთი.

ასეთია ის შეხედულება, რომელიც დღეს-დღეობით გაბატონებულია ამ საკითხის ირგვლივ, განსაკუთრებით კი ჩვენი პარტიის ქვედა ორგანიზაციებში.

ამ თავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ძირშივე ყალბი შეხედულებაა. უფრო მეტიც: ეს არის, თუ გნებავთ, პარტიის პოლიტიკის დამახინჯება, ამ პოლიტიკის ცუდი გაგება, რაც უთუოდ ჰქმნის ერთგვარ საშიშროებასაც.

დღეს, როდესაც პარტიის მიერ აღებულია კურსი უპარტიო მასებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, ყოველგვარ ღონისძიებებს ვხმარობთ იმისათვის, რათა შევქმნათ და გავაძლიეროთ უპარტიოთა აქტივი ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის მტკიცე საფუძვლების ჩაყრის მიზნით. იმის თქმა, რომ უპარტიო მუშას ან გლეხს, რომელიც ამჟამად მეტად დაინტერესებულია პარტიის მუშაობით და მიილტვის პარტიის რიგებში ჩასაბმელად, თითქოს არ უნდა ჰქონდეს უფლება სწეროს პარტიის საკითხებზე,—უეჭველად დიდი შეცდომაა.

ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც უპარტიომ უფრო უკეთ იცის ადგილობრივ მცხოვრებთა განწყობილება, მათი მოთხოვნილება, პირ-ვარამი, ვინემ თვით კომუნისტებმა. ასეთ პირობებში რა გასაკვირია, რომ უპარტიო ამხანაგმა, უპარტიო აქტივმა, რომელიც პარტიის მომავალი წევრია, სწეროს პარტმუშაობაზე, თავის შენიშვნებში თუ წერილებში აღნიშნოს ადგილობრივი ორგანიზაციების შეცდომები და მიღწევები, ხაზი გაუსვას იმას, თუ როგორი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული ამა თუ იმ უჯრედს სოფლის უპარტიო გლეხკაცობის თვალში, როგორია დაყენებული შინა-აღმზრდელობითი მუშაობა და სხვა? ვფიქრობ, აქ გასაკვირი არაფერი არის, პირიქით, ეს საჭიროა აუცილებელიცაა.

არაფრად ვარგა ის კომუნისტი, ის პარტიული ამხანაგი, რომელიც აუკრძალავს უპარტიოს სწეროს პარტიული ცხოვრების შესახებ. ის, ვინც უპარტიო აქტივისტს ხელს შეუშლის ჩვენი პრესის ფურცლებზე გააშუქოს პარტიული ცხოვრების საკითხები, ის ამით ეწინააღმდეგება პარტიის დირექტივას და უშვებს პოლიტიკურ შეცდომას.

არა ხელის შეშლა, არამედ ხელის შეწყობა უპარტიო ამხანაგებს, თუ როგორ და რის შესახებ უნდა სწერონ მათ—აი ის, რა უნდა ახსოვდეთ ყველა ჩვენს ამხანაგებს, კერძოდ კი სოფლის უჯრედებს.

ა.—ძ.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა ქ. ფოთში

ქ. ფოთის პარტორგანიზაცია აერთიანებს 16 კომუჯრედს. პარტკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ინიციატივით დაარსებულია მთელი რიგი საზოგადოებრივი ხასიათის ორგანიზაციებისა, რომლებიც დამაკმაყოფილებლად აწარმოებენ თავიანთ მუშაობას. ჩამოყალიბებულია 13 პოლიტსკოლა, სადაც მეცადინეობა ა. წ. ივნისამდე მიმდინარეობდა სისტემატიურად. 1924 წ. ოქტომბრის თვიდან არსებობს პარტსკოლაც, რომელიც აერთიანებს ზუგდიდიდან, სენაკიდან და თვით ფოთის ორგანიზაციებიდან წარმოგზავნილ ამხანაგებს. დღეს ამხანაგებმა უკვე დაამთავრეს პროგრამაში აღნიშნული კურსი და გაემგზავრენ თავიანთ მაზრებში სამუშაოდ. ხშირ-ხშირად იმართება უჯრედების პასუხისმგებელ მდივნების თათბირები, რომლებზედაც უმთავრესად ირჩევა ორგანიზაციული ხასიათის საკითხები. უჯრედებში მუშაობის გაცხოველების მიზნით პარტკომიდან მიმაგრებული არიან ამხანაგები, რომლებიც უჯრედებს უწევენ საერთო ხელმძღვანელობას. რეგულიარულად ეწყობა უჯრედების ღია სხდომები, რომლებსაც ბლომად ესწრებიან უპარტიონი. კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციაზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის მტკიცეთ დაცულია ურთიერთ წარმომადგენლობითი სისტემა. რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. მუშაობენ ქალთა წრეები, სადაც მასიურად ჩაბმული არიან [illegible] დელეგატ-ქალებისა [illegible] ოჯახის ქალებიც.

ტ. მე—ლი.

№ 3103

შინა-მრეწველობა ჩვენში

ინა-მრეწველობაში ჩაბმულია 50.000 კომლი შინა-მრეწველი.—შინა-მრეწველობა ყოველწლიურათ იძლევა 7.500.000 მანეთის პროდუქციას.—ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.—შინა-მრეწველ[illegible] რეწავების ტეხნიკის და [illegible] გაუმჯობესება.

ამჟამათ საქართველოში არსებობს შინა-მრეწველობის შემდეგი მნიშვნელოვანი სარეწავები: მაუდის დამზადება, კალათების და შინაური მოწყობილობის სხვა საგნების დაწნა, თიხის დამუშავება, ხის დამუშავება, ლითონის ნაწარმოებთა დამზადება და სხვა.

მატყლის დამუშავება და მაუდის დამზადება განსაკუთრებით ფართოთ განვითარებულია მთიან რაიონებში. ამ საქმეში ჩაბმულია უმთავრესათ ქალები; საერთოდ კი შინა-მრეწველობის ამ დარგს მისდევს 32.820 კომლი ანუ 57.000 შინა-მრეწველი.

აბრეშუმის ნაწარმოებთა დამზადება განსაკუთრებით განვითარებულია დასავლეთ-საქართველოში. აბრეშუმიდან შინა-მრეწველები ამზადებენ ჩულქებს, წინდებს, ცხვირსახოცებს, ყელსახვევს და სხვა. აბრეშუმის წარმოებაში ჩაბმულია 388 კომლი, ე. ი. 6.000 შინა-მრეწველი.

თიხის დამუშავებას მისდევს 1403 კომლი ანუ 2.800 კაცი. თიხიდან მზადდება ქვევრები, ხელადები, აგური, კრამიტი და სხვადასხვაგვარი ჭურჭეულობა.

ხის დამუშავებაში ჩაბმულია 3.000 კომლი ანუ 6.000 მუშაკი. საქართველოს სოფლის მოსახლეობის ინვენტარის და შინაური მოწყობილობის უდიდესი ნაწილი შინა-მრეწველობის პროდუქტებს შეადგენს. ასეთია, მაგალითად, ფოცხები, კავები და თოხები, ნაჯახების, ბარების და ნამგლების ხის ნაწილები.

საკმაო ფართოთ არის განვითარებული სხვადასხვა სახის კალათების დაწნაც. ამ დარგში მუშაობს 3.000 კომლი—6.000 კაცი.

დაახლოვებით ამდენივე კაცია ჩაბმული ცოცხების დამზადებაში.

შინა-მრეწველობის უმეტეს სარეწავებში მთავარ როლს თამაშობენ ქალები (მეაბრეშუმეობა, მატყლის დამუშავება, ცოცხების დამზადება და სხვა), დანარჩენ დარგებში კი მუშაობენ მხოლოდ მამაკაცები: ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შინა-მრეწველობა როგორც ქალებისათვის, ისე კაცებისათვის დამხმარე სამუშაოს შეადგენს; სოფლის შინა-მრეწველები, რომლებიც მხოლოდ ამ საქმეზე მუშაობენ, გამონაკლისს შეადგენენ.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, შინა-მრეწველობის ზემოაღნიშნულ დარგების ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება უდრიდა 7.500.000 მანეთს.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა შინა-მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შინა-მრეწველობის სარეწავების ტეხნიკის და მათი ეკონომიკის გაუმჯობესებას.

შინა-მრეწველობის ტეხნიკის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ მოხდენილი იქნება შინა-მრეწველობის სარეწავების გამოკვლევა. ამას გარდა მოწყობილი იქნება შინა-მრეწველობის ინსტრუქტორთა კურსები; ეს კურსები ხუთი წლის განმავლობაში გამოუშვებს 60 ინსტრუქტორს. ამასთანავე მოწყობილი იქნება სამოსწავლო-საჩვენებელი სახელოსნოები, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში გამოუშვებენ 1.500 ხელოსანს.

შინა-მრეწველობის სარეწავების ეკონომიკის გაუმჯობესების მიზნით, შინა-მრეწველებს მიეცემათ კრედიტები გაუმჯობესებული იარაღების შესაძენათ; თვითეულ შინა-მრეწველს საშუალოთ მიეცემა 125 მანეთი სულ კი ხუთი წლის განმავლობაში ამ საქმისათვის საჭირო იქნება 4.287.500 მანეთი. ამას გარდა აუცილებელი მასალების შესაძენათ შინა-მრეწველებს ხუთი წლის განმავლობაში მიეცემათ კრედიტი 6.063.750 მანეთის რაოდენობით.

მოსავლის გარშემო

თხილის მოსავალი

ოზურგ[illegible]ის მაზრასა და აჭარისტანის სოფლებში დამთავრდა თხილის მოსავლის მოწევა. თხილის მოსავალი ყველგან დიდია, ბათომის ბაზარზე უკვე გამოაქვთ გასაყიდათ ახლად მოწეული თხილი.

კარგი მოსავალი

სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს ცნობებით მიმდინარე სეზონში სასოფლო სამეურნეო კულტურის ყველა დარგების აფხაზეთში, ხილის ბაღების გამოკლებით, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ხუთბალის სისტემის მიხედვით აგვისტოს დამლევს და სექტემბრის პირველ დღეებში ნათესების მდგომარეობა ასეთი იყო: სიმინდი—3,6, ბამბა—3,4, თამბაქო—3,7, ყურძენი—3,6, ხილის ბაღები—2,5.

თამბაქოს ნათესების მდგომარეობა

ივლისის თვისა და აგვისტოს დასაწყისში გახშირებული გვალვა-სიცხეების გამო საგრძნობლად დაზარალდენ ადრე ნათესი თამბაქოს პლანტაციები. 9—13 აგვისტოს მოსულმა წვიმებმა თამბაქოს ყანები გამოაბრუნა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ შუა ხანებში და ხაგვიანებად დათესილი პლანტაციები სრულიად არ დაზარალებულან, მაშინ თამბაქოს ყანების დღევანდელი მდგომარეობის შეფასება ხუთბალიანი სისტემის მიხედვით ნიშანი—4-ით. თამბაქოს ზრდა უკვე გათავებულია. ახლა საჭიროა მუდამ მზიანი, გრილი ამინდი, რომელიც ხელს შეუწყობს თამბაქოს ფოთოლის ხმობას.

თბილისის მაზრის თემალმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

გუშინ, დილის 9 საათზე თბილისის ალმასკომის შენობაში საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. კორძახიას თავმჯდომარეობით გაიხსნა თბილისის მაზრის თემალმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 17 თემის წარმომადგენელი.

თათბირის დღის წესრიგში წამოყენებულია 1) 1925—26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და 2) მოხსენებანი ადგილებიდან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1925—26 წ.

(მომხსენებელი ამხ. გ. ვაჟაშელი)

პირველ მოხსენებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ამხ. გ. ვაჟაშელი, რომელიც თათბირის წევრებს აცნობს 1925—26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრებს და ადარებს მომავალ წლის გადასახადს გასული წლისას. გადასახადი მომავალი სამეურნეო წლისათვის შემცირებულია 60-70 პროც. ნაცვლად გასული წლის 589,357 მანეთისა, წელს გლეხობამ უნდა გადაიხადოს 246.515 მანეთი. მომხსენებელი განმარტავს, თუ რამ გამოიწვია გადასახადის შემცირება. სახელმწიფოს სამეურნეო და ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა ერთი წლის განმავლობაში გადასახადის ერთი ორად შემცირება.

დასასრულ მომხსენებელი გამოთქვამს რწმენას, რომ მაზრაზე გაწერილ გადასახადის ჯამს, რომელიც მოხმარდება ისევ სოფლის საჭიროებას, გლეხობა გადაიხდის სრული შეგნებით თავის დროზე და უკლებლივ.

რეზოლიუცია.

თათბირი იღებს რეზოლიუციას, სადაც იწონებს რა გადასახადის წესიერ განაწილებას, აღუთქვამს, რომ გადასახადი შეტანილი იქნება დანიშნულ დროზე.

თემალმასკომების წარმომადგენელთა მოხსენებანი.

თემების თემალმასკომების მოქმედებათა შესახებ მოხსენებას აკეთებენ თემალმასკომების თავმჯდომარეები, რომელნიც ახასიათებენ თემალმასკომების საქმიანობას მიმდინარე წლის განმავლობაში და აღნიშნავენ აგრეთვე თავიანთი კუთხის საჭიროებებს და ტკივილებს.

ხიდი მდ. არაგვზე

თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიის საწარმოო-სამშენებლო სექციის მიერ ა | წ. 3 ენკენისთვის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება სოფ. მცხეთასთან მდ. არაგვზე ხიდის აგების შესახებ.

სექციამ ხიდის აგება მდ. არაგვზე სოფ. მცხეთასთან მისი ეკონომიური მნიშვნელობის გამო, როგორც თბილისის, ისე მცხეთის მიდამოებისათვის და ნაწილობრივ დუშეთის მაზრისთვისაც საჭიროდ დაუცილებლად სცნო.

წინასწარ გეგმაში გათვალისწინებული ადგილი ხიდის ასაგებად და ხარჯთ-აღრიცხვა 220.000 მანეთის ფარგლებში სექციამ მოიწონა, ვინაიდან ხიდის აგება ამჟამად, სანამ [illegible] აგება არ დამთავრებულა, უფრო იაფად დაჯდება და ადვილიც იქნება.

ამის გამო აღიძრა შუამდგომლობა ალმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რომ მან ნავარაუდევი ხარჯთ-აღრიცხვა 220.000 მანეთის რაოდენობით შეიტანოს ალმასკომის 1925—26 წლის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში.

სექციამ საკითხი გადასცა საგეგმო კომისიას და ალმასკომის პრეზიდიუმს საბოლოო დასკვნისათვის.

ხიდის წინასწარი გეგმა შედგენილია ინჟ. მიქელაძის მიერ, რომელსაც სხდომამ გაწეულ შრომისათვის მადლობა გამოუცხადა.

ხიდს უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება იმ მხრივ, რომ იგი შეამოკლებს გზას თბილისიდან მცხეთამდე და დუშეთის მაზრამდე 4—5 ვერსით.

ხიდი ბუნებრივი გაგრძელება იქნება თბილის-ზაჰესის შარაგზისა, რომელსაც ეხლა აშენებს ალმასკომი და რომელზედაც მომავალ წელს გაივლის ტრამვაი.

ამასთანავე ხიდი დაუახლოვებს მცხეთის რაიონის სოფლებს თავის სახნავ-სათეს მიწებს—არაგვის მარცხენა მხარეზე და აგრეთვე იგი დიდ როლს შეასრულებს მომავალში ბულაჩაურიდან და ნატახტარიდან წყალსადენის გამოყვანის დროს.

ხიდი აიგება მცხეთისა და ზაჰესის შორის. მუშაობას შეუდგებიან ამ შემოდგომაზე.

განათლების ფრონტზე

წისქვილის [illegible]

განათლების კომისარიატმა დაადგინა დუშეთის მაზრის ერწოს თემის გლეხკომს გადასცეს თავის კუთვნილი წისქვილი, რომელიც მდებარეობს იმავე მაზრის სოფ. საყარაულოში.

პენსიის დანიშვნა

განათლების კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა შრომის კომისარიატის სოციალურ დახმარების სალაროს წინაშე, რათა დამსახურებულ პედაგოგს ვ. ჩხაიძეს დაენიშნოს პენსია.

ექსტერნად გამოცდების ჩაბარების აკრძალვა

განათლების კომისარიატმა დაადგინა აკრძალოს 9 წლიან შრომის სკოლების და ტეხნიკუმების დასამთავრებლად ექსტერნად გამოცდების ჩაბარება.

პედაგოგიური ტეხნიკუმი

განათლების კომისარიატის დადგენილებით პედაგოგიურ ტეხნიკუმის მიზანი იქნება პრაქტიკოს მასწავლებლების მომზადება. ტეხნიკუმში დაწესებულია 4 განყოფილება: 1) საზოგადოებრივ-ეკონომიური, 2) ფიზიკო-მათემატიკური, 3) საბუნებისმეტყველო-ტეხნიკური გეოგრაფიული ქვეგანყოფილებით და 4) ქართული ენის და ლიტერატურის.

მთიელთა საბავშვო სახლი

განათლების კომისარიატმა გადასდო 60,000 მან. მთიელთა საბავშვო სახლისათვის ახალი ფართო შენობის გამოსანახათ და მის მოსაწყობად.

ახალი პედაგოგები

მიმდინარე წლის გაზაფხულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტი დაამთავრეს, სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და დიპლომი მიიღეს შემდეგმა პირებმა:

სიტყვიერების დარგი: 1. აბულაძე სავლე იოსების ძე, 2. ბარამიძე ალექსანდრე გიორგის ძე, 3. ბარდაველიძე ვერა ვარდენის ასული, 4. ბერიძე ეკატერინე მიხეილის ასული, 5. ვარდიაშვილი ბარბალე მათეს ასული.

ისტორიული: 6. აზიანი ლიდია ალექსის ასული, 7. გაბუნია ბარბალე ვასილის ასული, 8. გალდავაძე თინათინ ანტონის ასული, 9. გიორგაძე ალექსანდრე ვასილის ძე, 10. დევიძე ელისაბედ ლავრ. ასული. 11. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ასული, 12. იოსელიანი აგრაფინა გრიგოლის ასული, 13. კარსანიძე ივანე დიმიტრის ძე, 14. მუჯირი ბარბალე იასონის ასული, 15. ნაჭყებია ვალერიან ვლადიმერის ძე, 16. წერეთელი ალექსანდრე იოსების ძე.

ენათ-მეცნიერების დარგი: 17. ხაბუა მაკარ ნიკოს ძე.

ფსიქოლოგიური: 18. ბოჭორიშვილი ანგია თადეოზის ძე.

ფილოსოფიური: 19. ათანაძე ივანე სამსონის ძე.

საბუნებისმეტყველო: 20. აბულაძე ნინო ქრისტეფორეს ასული, 21. ნამორაძე სოფიო გიორგის ასული, 22. ქომეთიანი ზაქარია ბართლომეს ძე, 23. პრულაშვილი სოფიო ნიკოლოზის ასული.

მათემატიკური: 24. კუჭავაძე პარმენ ზოსიმეს ძე, 25. ქურდიანი იოსებ გიორგის ძე, 26. ჰაპიტაშვილი გაბრიელ ილიას ძე, 27. ყორღანოვი გიორგი დავითის ძე, 28. ხუციშვილი გაბრიელ ილიას ძე. სულ 28 კაცი.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის დამტკიცება

ა | კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ა | წ. 5 ენკენისთვეს დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი 1925—26 წლისათვის.

აღნიშნული ბიუჯეტის საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებში დასაცავად, ა | წლის 9 ენკენისთვეს მოსკოვში გაემგზავრება ა | კ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. მუსეიბოვი, საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი ამხ. კუტაროვი და სხვები.

სასოფლ.-სამეურნეო პროდუქციის გასაღების გაუმჯობესება ა | კავკასიაში

შაბათს, 19 ენკენისთვეს, ა | კ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ა | კ. ფინსახკომში იწვევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ადგილობრივ სახელმწიფო კოოპერატიულ ორგანიზაციების და ბანკების წარმომადგენელთა თათბირს, რომლის მიზანია ამიერ-კავკასიაში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადების პერსპექტივების და ამ დამზადებათათვის ფინანსების მოზიდვის საკითხის განხილვა. თათბირი გაიხსნება საღამოს 6 საათზე.

სკოლებში შესასვლელად განცხადებების მიღების ვადის გაგრძელება

თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილებამ, შრომის სკოლებში მოწაფეთა მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა გააგრძელა 15 სექტემბრამდე. განცხადებების მიღება იწარმოებს თვით 15 სექტემბერსაც.

— მანქანები დასავლეთ საქართველოსათვის. საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიწად-მოქ. კომისარიატის დავალებით დასავლეთ საქ. საჭიროებისათვის საზღვარ გარეთიდან გამოიწერა მიწის სახნავი იარაღ-მანქანები.

— ტრანსპორტზე მომუშავეები. უმუშევარ რკინისგზელთა თბ. შრომის კოლექტივში ამჟამად მუშაობს 920 ტრანსპორტელი მუშა.

— შინაურ ფრინველების მოსაშენებლად მომავალ წელში საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი გასცემს 15 ათას მანეთს მიზნობრივ სესხის სახით.

— ახალი შრომის კოლექტივი. შრომის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით თბილისში არსდება შრომის ახალი კოლექტივი, რომელიც იკისრებს სხვადასხვა ხასიათის დავალების (გაყიდვა, შეძენა, წასვლა, გაგზავნა და სხ.) შესრულებას.

— შინა-მრეწველობისათვის. მიწად-მოქ. კომისარიატი ქუთაისში და ხონში გზავნის ამხ. ელენტს შინა-მრეწველობის სადგურების მოსაწყობათ.

— საქ. დამზღვევი სალაროები ამჟამად დახმარებას აძლევენ 1463 შრომით დასახიჩრებულს.

— საქონლის ჭირი. მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით ბორჩალოს მაზრის საძოვრებზე გაჩნდა საქონლის ჭირი. სამთაბარო სეზონის გათავების გამო, საქონლის აღრას შეუდგებიან ბარში ჩამორეკის შემდეგ.

— საჩვენებელი მინდორი. მიწად-მოქ. კომისარიატის ხელმძღვანელობით საჩხერეში მოეწყო საჩვენებელი მინდორი, სადაც სხვადასხვა ხორბლეულობის გარდა, სიმინდის მოსავალი ერთ დესეტინაზე მოელიან 200 ფუთს.

— შრატის დამზადება. აგვისტოს განმავლობაში ვეტ. ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა 10 ათასი გრამი შრატი.

— დაზღვევის საქმე. საქ. ამჟამად დაზღვეულია 339 კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულება.

— შაქრის მიღება. ახლო ხანში თბილისში მოელიან ადესიდან 20 [illegible] ფხვნილ შაქარს.

— ძვირფასი ბეწვეული ტყავეულობა. ამ დღეებში ა | კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა სტამბოლში გაიტანა და უკვე გაასაღა 75000 ოსმალური ლირის ძვირფასი ბეწვიანი ტყავეულობა.

— თხილის დამზადება. ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს წარმოკავშირთან 100,000 ფ. თხილის დამზადების შესახებ.

— შევროს მიღება. ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა საფრანგეთიდან მიიღო შევროს ტყავი ას ათასი მანეთის ღირებულების.

— მედიკამენტების მიღება. ახლო ხანში გერმანიიდან მოელიან 25 ათასი მანეთის მედიკამენტებს და 6 ათასი მანეთის საექიმო ხელსაწყოებს.

— დამატებითი დახმარება. აგვისტოში დაზღვევ კასამ დამატებითი დახმარების სახით გასცა 25,258 მან.

— თბ. დაზღვევ კასამ ავადმყოფობის წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების მისაღებათ აგვისტოში დახარჯა 2442 მან.

— აბრეშუმის პარკი. საზ-ბა „აბრეშუმმა" შეაგროვა 140,000 აბრეშუმის ნედლი პარკი, რომლიდანაც დამზადებული იქნება 35.000 ფ. ხმელი პარკი.

— საზ-ბა „აბრეშუმი" შეუდგა აბრეშუმის პარკის დამამზადებელი პუნქტების გაუმჯობესებას და პარკის სახმობი სადგურების გადაკეთებას.

— მეფისდროინდელ ოქროს ფულის გადაგზავნა ფოსტით აკრძალულია.

— ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ვინც 1 ოქტომბრ. რადიო-მიმღებ სადგურს შეიძენს, გადაიხდება რადიოს ღირებულების ერთიმეოთხედი.

— ტრაქტორების შეძენა. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა 20 „ხოლტის" და 10 „ფორძონის" ყაიდის ტრაქტორი.

— სამხრეთ-ოსეთის ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა ჯავის ხეობაში სამკურნალო წყლებზე აბანოების აგებას.

— ხანძართმქრობელობის შესასწავლი კურსები დაამთავრა 7 კაცმა, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ პროვინციებიდან სამაზრო ალმასკომების მიერ.

— „26" სახელობის ა | კ. კომუნისტური უნივერსიტეტი ყიდულობს ქართულსა და სომხურ ენებზე გამოცემულ სამეცნიერო და ლიტერატურულ წიგნებს. მსურველებმა უნდა მიმართონ შიო ჩიტაძის ქ. (ყოფ. ერმოლოვის) № 6.

შემთხვევები

— თვითმკვლელობის განზრახვა. 10 სექტ. დილის 1 საათზე სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 27 პავლე ლარიონმა თავის მოკვლის მიზნით ვინტოვკით დაიჭრა თავი.

— დაჭრა. 10 სექტ. საღამოს 10 საათზე მოქ. ვასილ ქექაშვილმა ხუდადოვის ქ. № 35 დანით დასჭრა თავისი და ბარბალე კოტლიასი. დამნაშავე შეიპყრეს.

— გაქურდვა. 10 სექტ. დილით ანდრეევის შეს. № 4 მორიგებული გასაღების საშუალებით პლეხანოვის კლუბის ბაღში გაქურდეს ზაქტოს სავაჭრო № 8.

— ამავე დღეს 10 სექტ. დიდუბის ქ. № 2 მოქ. ტატიანა სამარიანს სარდაფიდან მოპარეს 3 ფუთი ხილეულობის მურაბა, ღირებული 80 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

კიდევ ავტომობილებზე და შოფერებზე

(მუშის შენიშვნა)

შაბათია. 29 აგვისტოს ღამის 2 საათია. დაღალულ-დაქანცული სტამბის მძიმე სამუშაოდან შინ ვბრუნდებით; ჯორჯიაშვილის ქუჩის და საბიორის ქუჩის კუთხეში რომ მივაწიე, გზაში შემომხვდა ავტომობილი.

იქვე ცოტა მოშორებით ორი ქალი ხელის ნაბიჯით რუსთაველის პროსპექტისაკენ მიდიან. შოფერმა ქალებს მიმართა:

— სონია, მოდი ავტომობილით გავისეირნოთ.

— ცოტა საქმე გვაქვს და ამ წუთში დავბრუნდებით, დაგვიცადეო —იყო პასუხი.

შოფერი მართლა გადმოხტა, მანქანა კუთხეში გააჩერა, მომართა და მოემზადა „ღამის ფერიებთან" გასასეირნებლად.

მივედი და სიბნელეში როგორც იყო გავარჩიე, რომ ავტომობილი იყო საბჭოთა დაწესებულების.

ჩემი ასეთი ცნობისმოყვარეობა შოფერმა იუკადრისა.

— კაკოე ვაშე დელო ოსმატრივატ მაშინუ?

შევექნა დავა. ამასობაში „ღამის ფერიებიც" მოუახლოვდენ ავტომობილს, დარწმუნებული, რომ შოფერი მათ კარგა ხანს ასეირნებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ჩაეშალათ საქმე.

იქნება მკითხველმა მოგვთხოვოს ნომერი ამ ავტომობილის. ეს გახლავთ ავტომობილი № 188.

ეს იყო 29 აგვისტოს, შაბათს, ღამის 2 საათზე. ვინ უნდა გაუწიოს ასეთ შოფერებს კანტროლი, რომ ყველა ქუჩაში უდროვო დროს მოხეტიალე ქალებმა არ ისარგებლონ საბჭოთა ავტომობილებით?

მუშკორი ყ—ნი.

ვის სცალიან ამისათვის

— სანდრო, ეე, სანდრო, გაიგე ახალი ამბავი იმის შესახებ, რომ ცეცხლის გამჩაღებლებისთვის პირველ იანვრიდან რაღაცა კურსებს ხსნიან, განზრახვა აქვს ჩვენს ადმინისტრაციას, რომ ისინი მემანქანეები გახდენ.—შეეკითხა [illegible] ცეცხლის გამჩაღებელს ამხ. სანდროს.

— ეჰ, ჩემო კარგო, ნუ დაიჯერებ, ჩვენთვის ვისა სცალიან; კურსები კი არა, შრომის ხელფასი ვერ მოუციათ, როგორც წესი და რიგია.

უიმედოთ თავი ჩაიქნია ამხ. სანდრომ და გაეშურა დეპოსაკენ.

მუშკორი არმენაკი.

მიხედეთ ამ მუშას

რკ. გზ. მთავ. საწყობის კანტორაში მსახურობს ვინმე ქრისტეფორე ახალმედაშვილი დამლაგებლად და დარაჯად, ჯამაგირს იღებს 33 მან. 27 კაპ. თვიურად. ხ. ახალმედაშვილი ერთი თვენახევრის წინ საავადმყოფოში იწვა საექიმოდ თირკმელების ანთებით. რამოდენიმე კვირის შემდეგ გამოწერეს და ექიმებმა მძიმე მუშაობა აუკრძალეს, მასთან დარიგება მისცეს თბილად შეინახოს თავი. მაგრამ ამხ. ახალმედაშვილი ადმინისტრაციის დავალებით მუშა-მოსამსახურეების სასმელი წყლის გასაცივებელ ყინულს ეზიდება მთავ. სახელოსნოებიდან მხარით, ერთი ვერსის მანძილზე. მოსატანი ჭურჭლად მიცემული აქვს ერთი ჯვალოს ტომარა და სანამ ის მას დანიშნულ ადგილზე მოიტანდეს ყინული ზურგის სითბოთი და სიცხის გამო დნება; მუშა ყინულის წყლით იწუწება,—ზურგი, ბეჭები, ქამებიც კი უცივდება და ამაზე მას ხმა ვერც ამოუღია, და თუ იყო შემთხვევა, რომ მან ორიოდე სიტყვით მიმართა ადმინისტრაციას, პასუხი მიიღო მუქარით სამსახურიდან დათხოვნისა.

ნუ თუ არ შეიძლება ერთი თუნუქის ჭურჭლის შოვნა ან და ახალის გაკეთება, როცა აქვე, საწყობში, ჰყრია აუარებელი ძველი თუნუქის ნაჭრები, რომ მით ყინულის მომტანი ასცდეს უცაბედ ავადმყოფობას.

ადგილკომო, მიხედე ამ საქმეს და მოაგვარე!

მუშკორი გვაზაურელი.

„სპეც-საპონს" არ გვაძლევენ

— რად ხარ გაბრაზებული, ჩემო გოგო? შეეკითხა მემანქანე გამხეთველს.

— როგორ არ გავბრაზდე ამ ჩვენ დეპოს უფროსზე, რომელიც „დღეს-ხვალობით" გვკვებავს და სპეც-საპონს არ გვაძლევს. ამის გამო ჭუჭყიანი დავდივარ, ჩემი თავის მრცხვენია და სხვებისაც.

— ადგილკომი რას აკეთებს?

— ადგილკომი მორიდებულია და ადმინისტრაციას ვეღარაფერს უბედავს, ჩემო კარგო!

— ეს არ ვარგა, ჩემო გოგო, ადგილკომი უნდა გადაარჩიოთ, ადმინისტრაციის მოქმედებაზე კი შრომის ინსპექტორს აცნობეთ.

მუშკორი შავსოფლელი.

წარმოების აწევაც ასეთი უნდა

მთ. სახელოსნოს სადურგლო-საამქროს წინ სდგას რამდენიმე ძირი კაკლის ხე. ზოგიერთი მუშები მთელ მუშაობის დროის განმავლობაში ამ კაკლის ხეებს შესცქერიან, ზოგნიც ადიან ხეებზე და შეუდგებიან კაკლის კრეფას. ამაში აუარებელი საათები იკარგება.

ვინ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება? რასაკვირველია, უფროსმა მუშამ, ამხ. ხაფაევმა, რადგანაც ის ხელმძღვანელობს მუშების საქმიანობას მიუხედავათ ამისა, ის პირიქით, ხელს უწყობს ამ მოვლენას. დაჯდება კაკლის ჩრდილში, კაკალს აპტვრევს და შეექცევა. აქ ფერხდება მუშაობა, ასე წარმოება ვერ იხეირებს.

მუშკორი ლ. ე—ძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

უბედური შემთხვევა. 4 სექტემბერს საღამოს 5 ნახ. საათზე „ზაჰესის" 1 უბნის მუშა-დურგალი გოლა სოლოღაშვილი თავში ძლიერ დაშავდა ჩამოვარდნილ ფიცრით ჭრილობის მიყენებით. ადგილობრივ საავადმყოფოში შეხვევის შემდეგ გადაყვანილ იქნა თბილისში ყოფ. არამიანცის საავადმყოფოში. მიიღეთ ზომები, რომ მომავალში მაინც არ ექნეს ადგილი ამგვარ უბედურ შემთხვევებს.

მუშკორი ნ-მანი.

კოლხელშეკრულებას არღვევენ. სიღნაღის სამაზრო პროფკავშირმა ცეკავშირთან 1924 წ. 30 ივლისს დასდვა კოლექტ. ხელშეკრულება, რომლის ძალით წნორის წყალზე მომუშავე ცეკავშირის თანამშრომლებს უნდა მოგვცემოდა დანატებით ჯილდო 30 პროცენტის რაოდენობით. ამას აქეთ უკვე ერთი წელი გავიდა და ცეკავშირი ამ დამატებას არ გვაძლევს.

მოგვცემით ეს კანონიერი ჯილდო.

რ. წ—ძე.

სამართლიანი სასჯელი ყალბი ცილისმწამებელისთვის. სახელმ. კინო-მრეწველობის საზ-ბის ბინის დამლაგებელმა ნინა ალექსის ასულმა ლაფერაშვილმა ცილი დასწამა იმავე დაწესებულების თანამშრომელს ამხ. თომაშვილს. ბრალდება არ დამტკიცდა და ლაფერაშვილი ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მიცემული სისხლის სამართლის წესით.

მუშა ირ. მაროზოვი.

მოუწყობელი აგარაკი. კურორტ ახტალაში ზაფხულობით თავს იყრის ათასამდე მუშა-მოსამსახურე და სხ. მოქალაქეებიც. მიუხედავად ამისა ეს კურორტი სრულიად მოუწყობელია. აქ არ არსებობს არც ბიბლიოთეკა, არც სამკითხველო არც კლუბი, არც თეატრი და სხვა გასართობები.

საჭიროა ამ კუთხეს მისცეთ კულტურული სახე!

ლ. გონი.

სოფელი

„კუთხიანიძეები" საქმეს აფერხებენ

ბანძის თემში როგორც აღმშენებლობითი, ისე კულტურული მუშაობა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ამის მთავარი მიზეზი კუთხური პატრიოტიზმია, რომელსაც ჩვენს თემში მთელი ისტორია აქვს. გლეხებ შორის მუდამ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს შურიანობა, ბრძოლა და შეტაკება, განსაკუთრებით სოფელ მუხურსა ვედიდიკარელებსა და შიდა ბანძელებ შორის. ერთი ნაწილი თავისკენ ეზიდება, მეორეც აღარ ჩამოურჩება პირველს. ორივე მხარე ცდილობს ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურნი შესდგებოდენ თავიანთ წრიდან გამოყოფილ პირებისაგან, რომ ამით შესძლონ საკუთარ საქმის უკეთ მოწყობა.

ამით აიხსნება, ის გარემოება, რომ თემის საბჭოს არჩევნების დროს საშინელ ქაოსს ჰქონდა ადგილი. ჩხუბი, აურზაური, საზოგადოების ნაწილის დაპატიმრება და სხვა. საბჭოს შემადგენლობაში არ არსებობს არავითარი შეთანხმება, საბჭოს სხდომა ბაზრობას უფრო წააგავს, ვიდრე საქმიან კრებას.

ადგილობრივ ალმასკომმა მოაწყო ორკვირეული ბაზრობა. დღემდე საერთო საბაზრო ადგილად მიჩნეული იყო ბაზრის ზემო ნაწილი. ბაზარი საამისოდ მოწყობილიც იყო და ადგილიც ხელს უწყობდა. მიკიტანთა ერთი ჯგუფის მოთხოვნით და კუთხიანიძეების სურვილის თანახმად, საბაზრო ადგილი გადმოტანილი იქნა დასავლეთით, მიუხედავად იმისა, რომ იქითკენ აღარ იყო საამისო პირობები, ადგილობრივი ძალების ენერგიული მუშაობით შესაძლებელი გახდა სახალხო სახლის აშენება. კიდევაც დაწყებული იქნა ეს დიადი საქმე. მაგრამ საუბედუროთ შრომა უნაყოფოდ იხარჯება. სახალხო სახლისათვის შენობა ისეთ ადგილას შენდება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას არა მის პირდაპირ დანიშნულებისათვის, არამედ სამიკიტნოდ. ასეთი შემთხვევები აუარებელია, რომელიც მეტად უხერხულ და არასასიამოვნო პირობებს ჰქმნის.

შ. კეკელია.

ყარაჩოღელი დირექტორი

ს. შქმერში ერთ გლეხისას, მარიობა დღეს, დაპატიჟებულ სტუმრებს შორის იყვნენ: ქ. ონის ცხრაწლედის დირექტორი ვალიკო ჯაფარიძე, შქმერის თემის მასწავლებელი ონიპარტე ჯაფარიძე, ადგილობრივ ალმასკომის თავმჯდომარე და რამოდენიმე გლეხი.

გაიმართა ყანწების ტრიალი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირ. ვალიკო. ერთმა გლეხმა განაცხადა, რომ სათრობათ არ ვსვამ ღვინოსაო. მიუხედავად მისი განცხადებისა, დირექტორმა ვალიკომ მიიტანა მასზე იერიში. დალევდა თუ არა, მაშინვე „ალავერდს" მიდიოდა მასთან. არავითარი უარი არ გავიდა.

ვალიკოს მხარი დაუჭირეს ონიპარტემ და ალმასკომის თავმჯდომარემ: „ეს მამა-პაპური ჩვეულებაა და ასე უნდა მოვიქცეთო, შენც ამ სმაში ჩვენი ამხანაგი უნდა იქნეო"—იძახოდენ ისინი.

ბოლოს როცა გლეხზე ვერავითარმა ხერხმა ვერ გასჭრა, დირექტორმა ყანწები დაახალა მაგიდაზე და სილყვებით შეურაცხყოფა მიაყენა გლეხს. სმაც შეწყდა. გლეხი მისგან ამ საქციელს არ მოელოდა და ვერაფერი სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა.

რასა ჰგავს ეს? ნუ თუ მასწავლებელს და ისიც სკოლის ხელმძღვანელს ეპატიება ასეთი „მამა-პაპური", ყარაჩოღული თავგასულობა?

უცნობი.

წერილებიდან

ვერც ბახმარო ასცდა. კუთხურ პატრიოტიზმს, რომელიც ასე აფერხებს სოფლად კულტურულ და სამეურნეო აღმშენებლობას, ვერც ბახმარო გადაურჩა. აქ არის ოთხი გზა: ვაკიჯვრის, ასკანის, ხიდისთავის და ერკეთ-ნაბეღლავის. როცა [illegible] საკითხი გზების შეკეთება,—მოწამოიჭ[illegible] თავის სოფლის წყობის შესახებ, [illegible] ცამდასამხარ გზის სასარგებლოთ იყო. წუხარო ისაა, რომ ამ გაწევ-გამოწევაში ბევრი პასუხისმგებელი ამხანაგებიც კი ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას.

ეპ. ხიმაიშვილი.

იმედები გაგვიმართლდა. ს. ნიგოითში (გურია) ხშირი იყო წელს ისეთი ოჯახი, რომელმაც 5 ფუთი აბრეშუმის პარკი გაყიდა. ფულსაც გაყიდვისთანავე იღებდნენ. მომავალში ამ დარგს მეტი ყურადღება დასჭირდება. სადი თესლის მოწოდება და პრაქტიკული ახსნა-განმარტება კიდევ უფრო განავითარებს ჩვენს გლეხებში მეაბრეშუმეობას.

გლეხი.

უსარგებლო ხიდი. ლენხუმის მაზრაში ცხენის წყალზე არის ახლად გაკეთებული ხიდი. სოფელს ამ ხიდით სარგებლობა არ შეუძლია, რადგან გადასახადათ ადამიანზე 5 კაპ. დაწესებულია და ცხოველზე 10 კაპ. გლეხები ლანძღვა-გინებით ბრუნდებიან ხიდიდან და იძულებულნი არიან გზამოვლით და დიდი წვალებით გაივიდენ წყალში სხვა ადგილას. საჭიროა მაზრამ ანგარიში გაუწიოს გლეხების სამართლიან უკმაყოფილებას.

ლე-ლი.

სოფლის ქრონიკა

— კინო გლეხებისათვის. შორაპნის სამაზრო გლეხკომმა სოფ. ქვაციხეში, კაცხში და რცხილათში გამართა მოძრავი კინოს უფასო ჩვენება.

— ტყეების დაცვა. სოფ. ქვაციხის (შორ. მაზრა) გლეხებმა დაადგინეს თვითონ მიიღონ ზომები ადგილობრივი ტყეების დასაცავათ.

— ცალკე თემათ გამოყოფის შესახებ. ქვემორაჭის სოფ. ბაჯის, ქვედა-შავრის და ლადიშის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს აღნიშნულ სოფლებიდან ცალკე თემის დაარსების შესახებ.

— წყაროს გაყვანა. სოფ. ალის (გორ. მაზრა) მცხოვრებლებმა დაადგინეს საჩქაროთ შეუდგენ სოფელში წყაროს გამოყვანას.

— საბავშვო ბაღი. ახალციხის ალმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ადგილობრივ საბავშვო ბაღი.

— კოოპერატიული სასადილოები. შორაპნის სამაზრო გლეხკომმა დაადგინა ყველა წითელი სასადილოები რომლებიც კი არსებობენ მაზრაში, გადააკეთოს კოოპერატიულ სასადილოებათ.

— სოფ. კაცხის (შორ. მაზრა) გლეხები შეუდგნენ გზის შეკეთებას კაცხიდან ჭიათურამდე.

— შორაპნის სამაზრო გლეხკომის თაოსნობით სოფ. ქვაციხეში დაარსდა კოოპერატივი, რომელშიაც გლეხკომმა თავის ხარჯზე ჩასწერა წევრათ 100 გლეხი.

— ახალი ხიდი. სოფ. ალის (გორის მაზრა) მცხოვრებლები შეუდგენ მდ. ბურწულაზე ხიდის აგებას.

— [illegible] გლეხკომებათ თელავის მაზრაში ითვლება ყვარელის, შილდას, ქისტაურის, შაშიანის, ზემო-ხოდაშენის და კონდოლის გლეხკომები.

— მიწების გადაცემა. სოფ. დიდსა და პატარა გარე-ჯვარში (გორის მაზრა) მიწათმოწყობის ჩატარების შემდეგ ზედმეტი მიწები გადაეცა მეზობელ სოფლის [illegible] უმიწაწყლო გლეხებს.

სოფლის ფოსტა

მერცხალს (აწყური). თქვენი წერილი გადაიგზავნა ცენტრალურ საკანტროლო კომისიაში.

ტ. რ—ს (ზუგდიდი) წერილი არ გამოდგა.

ა.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი
ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებით
სახელმწიფოს მეორე მოგებიანი სესხის მოგებათა
მეოთხე ტირაჟი
მოხდება ქ. თბილისში ა. წ. 15—20 სექტემბრამდე
ამ ტირაჟზე იქნება 9138 მოგება 750.000 მანეთის რაოდენობით
მოგება განაწილებულია შემდეგ ნაირად:

6 მოგება 5.000 მანეთი სულ 30.000 მან.
93 „ 1.000 „ „ 93.000 „
105 „ 500 „ „ 52.500 „
2556 „ 100 „ „ 255.600 „
6378 „ 50 „ „ 318.900 „

მოგებათა ტირაჟი გაიმართება სახელმწიფო აკადემიურ ოპერის დარბაზში
შესვლა ყველა მოქალაქეთათვის უფასოა.
Б. 1677 10—4

იურიდიული რჩევა-დახმარება

რამდენი შეკუთვნის გამოუყენებელ შვებულებისათვის

კითხვა

1921 წლიდან 1925 წ. 26 მაისამდე ვმსახურობდი გამგედ საკურორტო სამმართველოს ახალდაბის სამკურნალო პუნქტისა. შტატის შემოკლების გამო, ა. წ. 26 მაისს, ვიყავი დათხოვნილი სამსახურიდან. ამ ხნის განმავლობაში არ ვყოფილვარ შვებულებაში.

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენი თვისა მეკუთვნის კომპენსაცია შვებულების გამოუყენებლობისათვის.

პროფკავშ. წევრი № 55.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ის თანახმად მუშა-მოსამსახურეს აქვს უფლება საკალენდრო წელში ერთხელ ხუთნახევარ თვის განუწყვეტლივ მუშაობის შემდეგ მიიღოს მორიგი შვებულება არა ნაკლებ ორი კვირის ხანგრძლივობით.

ამიტომ თუ თქვენ კოლექტიურ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული მორიგი შვებულების უფრო მეტი ხანგრძლივობა და გამოუყენებელ შვებულებისათვის არას დროს საკომპენსაციო ჯილდო არ მიგიღიათ, თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ საკომპენსაციო ჯილდო არა ნაკლებ ორ ნახევარ თვის ხელფასის რაოდენობისა.

მიშვილების შესახებ

კითხვა

ვარ გლეხი, რომელიც ვცხოვრობ ჩემი საკუთარი შრომით. არ მყავს შვილი.

შეიძლია თუ არა ვინმე ჩემი ნათესავისაგან ავიყვანო შვილად და, თუ შეიძლია, როგორ მოვიქცე.

ივაკა როგავა.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 148-ის სხვისი შვილების შვილად აყვანა დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა (ე. ი. 1921 წ. 3 ივლისიდან) აკრძალულია. ამ დეკრეტის თანახმად შვილად აყვანა არ ჰქმნის არავითარ უფლება-მოვალეობას შვილად ამყვანთა და აყვანილთათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამშაბათს, საღამოს 6 საათზე.

ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის და რაიკომების ბიუროების წევრების და კანდიდატების დასწრება. თბილისის კომიტეტის მდივანი: კახიანი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ

ერთიან პარტიულ დღეს

პარასკევს, 18 სექტემბერს უჯრედთა ბიუროების ხელახალ არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარებული უნდა იქნეს 15 სექტემბრიდან, დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხები:

1. უჯრედთა ბიუროების ხელახალი არჩევნების შესახებ.
2. ადგილობრივი საკითხები.

თბილისის კომიტეტის მდივანი: ასრიბეკოვი.

— საქართველოს კომპარტიის არსენალის რაიკომი აცნობებს არსენალის რაიონის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც არ არიან ჩარიცხული პოლიტსკოლებში (რაიკომთან) მომავალ სასწავლო წლიდან, რომ შემოწმების უკანასკნელი დღე არის ა/ წ. 15 სექტემბერი.

იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც არ არიან ჩარიცხული სკოლებში და არ გამოცხადდებიან აღნიშნულ ვადამდე შემოწმებაზე პოლიტსკოლაში ჩასარიცხავად, გამოყენებული იქნება პარტიული სასჯელი, თუ მათ არ ექნებათ საპატიო მიზეზი.

შემოწმება სწარმოებს რაიკომის ბინაზე ყოველდღე საღამოს 5 საათიდან.

მდივნის მოადგილე: წითლაძე.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 12 სექტემბერს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

1. ი. კოკოევი, 2. მიხ. ლომთათიძე, 3. იუველინ-გლაზერი (ლენინის რაიონიდან). 4. ჩიხლაძე, 5. გამყრელიძე (არსრაიკომიდან), 6. მჭედლიშვილი (3-რაიკომიდან), 7. აბულაძე, 8. სოკრატ მგალობლიშვილი, 9. ბაიანდუროვი, 10. სერგო ზაროვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან:

1. მიხეილ მარუტიანცი, 2. მარია ვასილის ასული ვირაევკო-გუევიკ და 3. გურგენ ზარიფიანა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხ. ანთიძეს—ტერიტორიალური პოლკის წითელარმიელს—გამოცხადდეს შაბათს ან ორშაბათს 10—12 საათამდე თბილისის საბჭოთა-პარტიულ სკოლაში ამხ. პოლოსოვთან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ კვირას, 13 სექტემბერს, დილის 6 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე (ფეიერვერკის ქ.) შესდგება არსენალის რაიკომთან არსებულ მეორე ბატალიონის 1, 2, 3 და ტყვიისმფრქვეველთა გუნდის კომუნარების კრება,

სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივნის მაგიერ: წითლიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ კვირას, 13 სექტემბერს, დილის სრულ 9 საათზე რაიკომის აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში ერთიან პარტბილეთების და საკანდიდატო ბარათების მისაღებად:

1. ნიკულინი ივანე პეტრეს ძე, 2. სუთიძე გაბრიელ გევორქის ძე, 3. ლოხოვი კონსტანტინე პავლეს ძე, 4. კულიევი სოლ., 5. სანაძე ალექსანდრე მიტროფანის ძე, 6. ოგანეზოვი ივანე ამალ., 7. პეტროვი ნიკოლოზ თედორეს ძე, 8. კიპრიზოვა ოლღა დიმიტრის ასული, 9. სტაცკევიჩი ბარბალე, 10. დოლიძე გერმან, 11. გეგენოვა ალექსანდრე ივანეს ძე, 12. მახაშვილი გიორგი ალექსის ძე, 13. ბრეგვაძე ალექსანდრე ერასტის ძე, 14. ტოპოიანი გევორქ მელქან., 15. მოწონელიძე ნესტორ სოფ., 16. ბაგრატიონი გრიგოლ მინასის ძე, 17. გრიგორიანი არმენაკ ოგანეზის ძე, 18. თარალაშვილი გიორგი პეტრეს ძე, 19) ბერუჩაშვილი ტიგრან, 20. მხეიძე მიხეილ კონსტანტინეს ძე 21, პოკუშაძე ოლღა მაქსიმეს ასული, 22. აირაპეტიანი ლევან, 23. ამირიანი რუბენ პეტროსის ძე, 24. ოქროპირიძე გრიგოლ, 25. პროკოფიევი ალექსანდრე, 26. პიანკოვი ივანე

რაიკომის პას. მდივნის მაგიერ: ს. იკოპოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ კვირას, დილის 9 საათზე, რაიკომის აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში:

უჯრედი № 1—1. მღებრიშვილი ევა, 2. ნიკიტინი ალექსი, 3. ვიდულოვი ანტონ, 4. მორბელაძე დიმიტრი.

უჯრედი № 2—5. დანელია მიხეილ, 6. დალაქოვი ნიკოლოზ, 7. ზარაპოვი ანდრია.

უჯრედი № 3—8. აკასაროვი ივანე, 9. გრიგორიანი ტიგრან 10. დულუხანოვი მიხეილ.

უჯრედი № 4—11. გეორგიაშვილი, 12. ბიბილაშვილი, 13. მარკოზოვი გ.

უჯრედი № 5—14. პოშევალსკაია მარია, 15. ჯაში უშანგი.

უჯრედი № 7—16. ხელაძე სოფიო, 17. სარქისოვი არტემ.

უჯრედი № 8—18. ლეურადიანი კარაპეტ, 19. ბადრიძე ელ., 20. ყაზაროვი მელიქ.

უჯრედი № 11.—21. ღარიბოვი კარაპეტ, 22. სანაძე ალექსანდრე, 23. არსენაშვილი გიორგი, 24. პაატაშვილი.

უჯრედი № 12—25. გიორგობიანი რომანოს.

უჯრედი № 13—26. პეტროვი ნიკოლოზ.

უჯრედი № 14—27. სირუნიანი ავეტიკ, 28. ზურაბოვი გრიგოლ, 29. მელიკ-ოგოიანცი.

უჯრ. № 16.—30. აირაპეტიანი ლევან, 31. მეტრეველი ილარიონ, 32. რიმკუსი პეტრე, 33. ხუმურდავა არსენ.

უჯრ. № 17—34.—მახაშვილი გიორგი.

უჯრ. № 23—35. მალუაშვილი, 36. დოლიძე გერმან

უჯრ. № 27—37. გიევსკი,

უჯრ. № 42—38. კაბეცი.

უჯრ. № 9—39. არუტინოვი აბრამ.

უჯრ. № 48—40. თაგაური, 41. თარალაშვილი, 42. პერემუზაშვილი, 43. გონგაძე, 44. ტიგიშვილი, 45. მესხი, 46. კერესელიძე არხიპო, 47. სოხუაძე.

უჯრ. № 55—48. კარაპეტოვი დავით.

აღმრიცხავ-სტატისტიკურ ქვე-განყოფილების გამგე: ისაკოვი.

განცხადებები

მწუხარებაში მყოფი მშობლები: უბედური, გულდამწვარი დედა ბარბარე გაბრიელის ასული კლიმიაშვილისა, დები: ანასტასია იოსების ასული გედევანიშვილისა, მარიამ იოსების ასული ტუხიშვილისა, მელანია (ლიუბა) იოსების ასული კლიმიაშვილისა და ძმა მიხეილ იოსების ძე კლიმიაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველის საყვარელი შვილის, მხოლოდ უკანასკნელთა დაუვიწყარი ძმის

გიორგი იოსების ძის

კლიმიაშვილის

უდროვოდ დაღუპვის წლის თავის აღსანიშნავად კვირას, 13 სექტ. დილის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი.

2443 1—1

უსაზღვროდ დამწუხრებულნი მშობლები: პუპუნა და დიმიტრი დუდუ[illegible] ბიძები: მოსე, [illegible], და ნათელა, ბებიები: დომნა და [illegible] კოკია, შალიკო და კაპიტონი, მამიდები: მარუსია, ქრისტინე და ნინა, დეიდები: მასურია და მაცია ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 8 ენკენისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და უსაყვარლესი

გიგი დიმიტრის ძე

დუდუჩავა

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 12 ენკენისთვეს, დღის 2 საათზე სოფელ ქვემო-ხეთში, საჯამიასერის თემი, ოზურგეთის მაზრა.

ნ. 1702 1—1

დავით ილარიონის ძე

ფორაქიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, კვირას, 13 სექტემბერს, წირვის შემდეგ შუადღის 12 საათზე მარინეს ეკლესიაში (ავლაბარი) გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ქვრივი თინათინ გიორგის ასული ფორაქიშვილი შვილებით და შვილიშვილებით, ძმა სიმონ ილარიონის ძე ოჯახობით და და— მაკრინე ილარიონის ასული ფორაქიშვილი და მარია ილარიონის ასული ქართველიშვილი.

2452 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 16 სექტემბერს, 1925 წ. დღის 12 საათზე, სახლში № 2 პუშკინის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამხ. „საერო"-ს მოძრავ ქონებას: 1340 ვედრო წითელ და თეთრ კახურ ღვინოს შეფასებულს 3350 მანეთად, ბოჰკებიანად სურსათ-გამოვენების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 სექტემბრის 1925 წ. თარიღით, № 2915 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1-1 2449

შრომის სასამართ. აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 16 სექტ. 1925 წ. საათის 12 რუსთაველის პროსპ. ვანო სარაჯიშვილის სახელობის ბაღში, სახ. თეატრის გვერდზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოძრავ ქონებას ტიგრან ბარსეგოვისას და ოგანეზ ტერ-ოჰანიანცისას: მაგიდებს, სერვიზს, სუფრებს, პიანინოს, სამზარეულოს, ჭურჭლებს და სხვ. შეფასებულს 386 მან 75 კ. დასაკმაყოფილებლად სახალხო კვების კავშირისა 336 მ. 10 კ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

2445 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი ლაბორატორიით

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—14

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალიხანოვის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე საშ. ქვესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—21

ექიმმა ფუქმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქინენოვის ქუჩის პირდაპირ).

21—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

ექიმი გ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან [illegible] და საღამოს 7 საათიდან—11 საათამდე [illegible] 8 საათამდე.

საპიროვის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—4

ექიმი ა. ს. ფონ-ირეტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მარშე).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი.

ავადმყოფთა მიღება დილის 9 11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 87.

13—1

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

25—22

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები, მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

25—20

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექ. ა. ე. უზლანერ

ვენერიული, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ. კვირაობისთვის 12—1 საათ. ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—23

ექიმი ხოჯაპარუხოვი

კანის, ვენერიული და სიფილისის

ბებუთოვის ქუჩა № 29

მიღება: დილის 9—12 საათ. საღამოს 4—6 საათ.

2390 13—1

ექიმი გ. გ. მურაზიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეციალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის საშ[illegible] კაბინეტი, ფოტოგრაფია და [illegible] სხივებით.

მიღება [illegible] 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. [illegible]

25—1

ექიმი

ალ. გ. მაღალაშვილი

ბავშვთა სნეულებანი.

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12.

25—4 2153

ბორჯომი

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს მისამართი:

როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17

ზოსინის აგარაკი.

15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე

25—4

დაიკარგა გორის ქალთა გიმნაზიის დამთავრების ატესტატი დარია ზაქარიას ასულ ცალქალამანიძეს სახელზე. ჩ. გ. 2446 1—1

დაიკარგა პარტბილეთი № 491597 ვასილ ბაზაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2447 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი პართენ ბაკურაძის სახელზე. ჩ. გ. 2444 (ა) 1—1

დაიკარგა პასპორტი ვლადიმერ სიმონის ძე შხვაცაბაიას სახელზე. ჩ. გ. 2451 1—1

დაიკარგა საბჭოთა მუშაკების წიგნაკი № 6889, ლომიძის სახელზე. ჩ. გ. 2450 (ა) 1—1

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 6401 და პირადობის მოწმობა № 9411 მიხეილ ცაისარაძის სახელზე. ჩ. გ. 2444 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 161 პეტრე კობახიძის სახელზე. ჩ. გ. 2448 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ფურცელი მიხეილ თევდორაძის სახელზე. ჩ. გ. 2441 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა „ვ" № 1282 ივანე ოქროპირიძე ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2418 1—1

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი და პასპორტი ზურაბ ჩაჩიბაიას სახელზე. ჩ. გ. 2450 1—1

დაიკარგა ჩემი ქალიშვილის ვერა შაქროს ასული ვაჩნაძის აპეკუნობის ქაღალდი ოლღა გრიგოლის ასული ვაჩნაძის სახელზე. ჩ. გ. 2418 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის მოწმობა დავით ფანცხავას სახელზე. ჩ. გ. 2442 1—1

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს

ბალანსი

1924 წლის 1 ოქტომბრისათვის

დამტკიცებულია ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ ა. წ. 18 აგვისტოს (ოქმი № 19 მუხ. 10).

აქტივი.

ანგარიშების სახელწოდება	გამგეობა		განყოფილებანი		ს უ ლ	
ა. ფულადი საშუალებები:						
1. კასა.	27.489	38	6.407	46	33.886	79
2. ვალიუტა და დევიზები.	3.266	58	1.797	20	5.063	78
3. მიმდინარე ანგარიშები:						
ა) ჩერვონცებში.	5.371	63	150.055	25	155.426	88
ბ) უცხოეთის ვალიუტით	4.110	86	43.402	52	47.513	38
4. ძვირფასი ლითონები.	12.444	03	—	—	12.444	03
ბ. სხვა წარმოებათა ფასიანი ქაღალდები და პაიები	385.048	47	2.774	53	387.823	—
გ. დანარჩენი ქონება:						
მოძრავი ქონება.	48.678	79	30.111	55	78.785	34
დ. მატერიალური ღირებულებანი:						
1. საქონელი საწყობებში	886.242	83	1.099.555	55	1.985.798	38
2. საქონელი გაცემული საკომისიოთ.	779.697	29	1.553.625	68	2.333.322	97
3. საქონელი გზაში	954.570	66	11.304	55	965.875	21
4. მასალები	5.778	70	—	—	5.778	70
ე. დებიტორები:						
1. თამასუქები პორთფელში.	201.763	35	125.396	63	327.159	98
2. თამასუქები აღრიცხვაში.	54.986	49	24.827	57	79.814	06
3. თამასუქები გასაჩივრებული	7	—	—	—	7	—
4. თამასუქები ინკასოთი	—	—	125.320	86	125.320	86
5. მყიდველები.	335.802	26	55.556	92	391.359	18
6. ანგარიშვალდებული თანხები	113.066	—	14.727	54	127.793	54
7. დანარჩენი დებიტორები:						
ა) სხვადასხვა პირები და დაწესებულებები.	1.012.007	46	871.538	62	1.883.546	08
ბ) მუშები და მოსამსახურეები.	3.941	70	6.678	94	10.620	64
გ) გარდამავალი თანხები.	16.920	26	75.087	68	92.007	94
ვ. განყოფილებები და კანტორები	3.002.652	39	—	—	3.002.652	39
ზ. უცხოეთის წარმომადგენლობანი	920.317	52	—	—	920.317	52
თ. მომავალი წლის ხარჯები	6.898	32	8.877	81	15.776	13
	8.781.056	92	3.707.046	86	12488.103	78
თამასუქები მიღებული უზრუნველსაყ.	316.000	—	—	—	316.000	—
საკომისიო საქონელი.	41.643	28	176.153	30	217.796	58
საქონელი გადაცემული კომისიაზე.	441.170	41	64.619	62	505.790	03
	798.813	69	240.772	92	1.039.586	61

პასივი.

ანგარიშების სახელწოდება	გამგეობა		განყოფილებანი		ს უ ლ	
ა. საკუთარი კაპიტალები:						
1. ძირითადი კაპიტალი	3.300.000	—	—	—	3.300.000	—
2. სათადარიგო კაპიტალი	344.748	04	—	—	344.748	04
3. საამორტიზაციო ფონდი	5.047	52	6.480	25	11.527	77
ბ. კრედიტორები:						
1. გაცემული თამასუქები	242.249	09	107.294	66	349.543	75
2. სპეც. მიმდ. ანგარიშები საქონლის ქვეშ	998.740	38	—	—	998.740	38
3. სესხები საქონლის ქვეშ	382.360	—	—	—	382.300	—
4. დავალიანება აღრ. თამას.	54.986	40	24.827	57	79.814	06
5. მიმწოდებლები და გამყიდველები	198.153	33	1.000	—	199.153	33
6. უცხოელი მიმწოდებლები.	121.619	76	—	—	121.619	76
7. უცხოეთის წარმომადგენლები	336.181	17	—	—	336.181	17
8. დანარჩენი კრედიტორები:						
ა) სხვადასხვა პირები და დაწესებულ.	2.389.816	98	261.646	90	2.651.463	88
ბ) მუშები და მოსამსახურეები.	2.802	81	1.000	—	3.802	81
გ) გარდამავალი თანხები	164.398	18	45.051	67	209.449	85
გ. გამგეობა	—	—	3.002.652	39	3.002.652	39
დ. მოგება 1924 წ. (საანგ.) განმავლობაში.	239.953	17	257.093	42	497.046	59
	8.781.056	92	3.707.046	86	12.488.103	78
უზრუნველსაყოფად მიღებულ თამასუქების დებიტორები.	316.000	—	—	—	316.000	—
საკომისიო საქონლის კომიტენტები	482.813	69	240.772	92	723.586	61
	798.813	69	240.772	92	1.039.586	61

ა-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს
გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე: **ვ. აბაქოვი**

საფინანსო-საანგარიშო განყოფილების
გამგის მოადგილე: **იანოვიჩი**

მთავარი ბუღალტერი: **ვოიცეხოვსკი**

ნ. 1701 1—1

ტირაჟი—20.182

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სოფ. წულუკიძის ქ. №